№ 71 სახალხო გაზეთი № 71

შაბათი, 31 ივლისი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

ხოფიო სოლომონის ასული, ქეთევან, ზაქარია და სვიმონ იობის ძენი ნაბიჭვრიშვილები, მართა ივანეს ასული, ალექსანდრე, ლევან, გიორგი და ანნა სოლომონის ძენი და ასული მაისურაძენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—საყვარელ მეუღლის, მეორე შვილის, მესამე და მეოთხე—ძმის, ხოლო დანარჩენნი სიძის

ვასილ იოსების ძე ნაბიჭვრიშვილისას.

გამოსვენება მიცვალებულისა საკუთარ ბინიდან ანნას ქ. № 27, შაბათს, 31 ივლისს, დილის 9 საათზე კუკიის წმ. ნინოს ეკკლესიაში, სადაც გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. დაკრძალვა იმავე ეკკლესიის გალავანში. (2—2)

კვირას, 1 აგვისტოს

გრიგოლ იოსების ძე კემულარიას

გარდაცვალების მეორმოცე დღეს ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებულის მეუღლე და ვაჟიშვილი. დასაწყისი წირვისა დილის 9 საათზე, პანაშვიდი დღის 1 საათზე. (1—კვ.—1)



ქართული სახალხო თეატრი

შაბათს, 31 ივლისს,

მეხუთე დღე ფრანგულ მოჭიდავეთა

ჩემპიონატისა

დღეს იჭიდავებენ ხუთი წყვილი ფალავნები:

1) გადამწყვეტი ჭიდაობა პეტერსისა და ვან-როტენის შორის 2 და 3) შავი მასკა (ნიღაბი) ვალტერსა და კალკაუს წინააღმდეგ 4) აპოლონი ნაჯის წინააღმდეგ 5) გადამწყვეტი ჭიდაობა ბერნეკადოსა და მიქ. მაერის შორის და 6) ახმახი მახოვი რეიბერის წინაღმდეგ. ჭიდაობის დაწყებამდე ახალი სინემატოგრაფი უჩვენებს სხვა და სხვა საინტერესო, სამეცნიერო და გასართობ სურათებს საღამოს დასაწყისი 9 საათზე. ჭიდაობისა 10½ საათზე

ადგილების ფასი (30 კაპ., 2 მან.) ყველასათვის ხელმისადომია. (1—ნ.—1)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ა მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. მიხეთელი—ყელ., ყურ. ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—ნ. 402)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოველ დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელ. ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

გორბოვსკი-ზარანეკი ე. გ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ... 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანხვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და ... ხას. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირ., ყოველ დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

სობოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები ½ მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. ინსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—241)

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ BATON-ის წიგნი

„ერი და კაცობრიობა“

კერძო მყიდველებმა და წიგნის მაღაზიებმა, ვისაც სურს წიგნი შეიძინოს, უნდა მიმართონ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას.

ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди Грузинъ, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства. (0—30)

—კვირას, 1 აგვისტოს, დიდუბეში, ეკლესიის მახლობლად მარცხნივ მხარეს—

გაიმართება საინტერესო კავკასიური



ჭიდაობა

წმიდა ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ

ამ კვირია იჭიდავებს კავკასიის პირველი გამოჩენილი

ფალავანდი

კულა გლდანელი და

ყველასაგან ცნობილი ევროპის გამოჩენილი მოჭიდავე

2. გიორგი დოთიაშვილი გორელი და მეტივე დათიკო ნატრაშვილი 3. თედო კაკაშვილი და დათა ვანეზასშვილი, 4. ვასო კოშკელაშვილი და ბაგრატ სხირტლაძე, 5. თედო ნასელჩიკი და ილიკო გეცაძე,

ადმინისტრაციას აქვს სრული უფლება შესცვალოს მოჭიდავენი

კასა ღიაა დილის 10 საათიდან ჭიდაობის გათავებამდე.

დასაწყისი საღამოს 5½ საათზე. ადმინისტრატორი ნ. კიკნაძე. (2—363—1)

დასურათებული ასაწყობი ანბანი კუბიკებზე

(„ნ ა კ ა დ უ ლ ი ს“ პ რ ე მ ი ა).

შემუშავებულია ცალკე კომისიის მიერ პედაგოგებისაგან, მოკლე ხანში დამზადდება და დაურიგდება პრემიად „ნაკადულის“ წლიურ ხელის-მომწერთ. რადგანაც ამგვარი ანბანის მოთხოვნილება ქართულ ოჯახებში დიდია, ამიტომ რედაქციას სურვილი აქვს დახმარება გაუწიოს საზოგადოებას და სთხოვს მსურველთ, არა ხელის-მომწერთ, ეხლავე დაიკვეთონ, რადგანაც რედაქცია გასასყიდად დასურათებულ ანბანს კუბიკებზე ვერ დაამზადებს. დაკვეთა შეიძლება 15 ენკენისთვემდე; ეღირება გაუგზავნელად 1 მანეთი.

ქირავდება ერთი ოთახი ზემო სართულში მზიანი და ნათელი. შეიძლება მოწყობილობით და სადილით. კიროჩნი და ელისაბედის ქუჩის კუთხე № 69. მარჯვენა ზემოთი ზარი. იქვე მიიღებენ მოწაფეებს სრულ ხარჯზედ.

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. გერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20. ტელ. N 79. (0—ნ.—114)

ექიმი მ. ს. არჯევანიძე

ქუთაისში.

იღებს ავადმყოფებს: შინაგან, ქალთა სნეულებ. აგრეთვე საბებიო. დილის 9—12 ს. საღამოს 6—7 საათ. გარდა კვირა-უქმე დღეებისა. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოგიელოვისა. (25—კვ.—16)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—175

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი გაბაშვილისა (უ)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იზმაილოვის ქუჩაზე N 2. გადავიდა იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი

ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—ნ.—38)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ხარაძე—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოგოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

ხუდაბაშევი—ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

აზვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

ვესელოვზოროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. გარდა კვირა-უქმისა 2—3 საათ.

ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

მიკირტუმოვი დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ. სულ. ელექტროთერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4— 5 საათ.

ფონდოევი—ნერვ. და ელექტროთერ. ყოვ.-დღე 2—3 ს.

ი. მ. ახპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—7)

შპალიერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო

ძმ. ტარნოპოლების

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება ტფილისში: გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355

ფასები საფაბრიკოა.

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—42)

ექიმი ბორჯომში ა. ს. ალადაშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის ტერაპევტიულ კლინიკის. იღებს შინაგან ავადმყოფობით სნეულებს დილის 9—12 და საღამოს 5—6 ს., ვორონცოვის ქუჩა სახლი ზუბალოვისა 25—ნ.—25

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ხოლერა თითქის მთელს რუსეთს მოედო და ხალხს მუსრს ავლებს. ოფიციალურის ცნობით თითქმის სამოცი ათასი კაცი იმსხვერპლა ხოლერამ. რასაკვირველია, 1892 წლის ხოლერობას დახოცილთა რიცხვი რაღაც საშინელი იყო, მაგრამ ამ სამი წლის განმავლობაში კი ხოლერა თან და თან მატულობს. 1908 წელს 17 ათასი კაცი მოკვდა ხოლერით, 1909 წელს 28 ათასი ხოლო ამ მიმდინარე 1910 წლის პირველ ნახევარში 57 ათასი. ეს ოფიციალურის ცნობით. ეჭვი არაა ამ უზარმაზარ რუსეთში ბევრი დაიხოცებოდა ხოლერით და იმაზე ოფიციალურ ცნობებში არა იქნებოდა რა. საშინელი სენი ასე პალიატურად. ვითარდება და უმთავრესად დაბალ ხალხში პპოულობს საუკეთესო ნიადაგს. ვინ იტყვის, დაფაცურებულია ოფიციალური რუსეთი, ამოძრავებულია საზოგადოებრივი დაწესებულებანი, ექიმებიც ბევრგან გასაოცარს თავგანწირულებას იჩენენ, მაგრამ ყველა ეს საშუალება პალიატიური. საძირკველი შეურყეველია და იმასთან არის საჭირო ბრძოლა და ანგარიშის გაწევა. გაზ. „რეჩი“ მეთაურ წერილში კვლავ ეხება ხოლერით გარდაცვალებულთა რიცხვის ასე პროგრესიულად ზრდას და ამბობს:

... ჩვენ გავიმეორებთ მას რაც არა ერთხელ გვითქვამს,—ხოლერასთან საბრძოლველად მხოლოდ ერთად ერთი საიმედო საშუალება კულტურული განვითარებაა ხალხისა და ეს კი შეუძლებელია ... მის ბრჭყალებს ქვეშ, რომელიც როგორც ძველად, უცვლელად დარჩა. ამ ყველასათვის აშკარა ჭეშმარიტების უარყოფა არავის შეუძლიან. აქ არც ლანძღვა-გინება შეიძლება და არც ოპოზიციის პოლიტიკური დასმენა.

რას გვიმტკიცებს ეხლანდელი სენი, რომელიც იმითი ხასიათდება, რომ მოედო ყველგან ერთბაშად, განუწყვეტლად? იმას, რომ ეხლა მაინც საჭიროა მოეწყოს ადგილობრივ თვით-მმართველობის მცირე ერთეულები, რომელნიც იზრუნავდნენ ყველაფერზე — სანიტარულ პირობათა გაუქმებაზე, თბილ კრებაზე მუშათათვის და ღარიბთათვის და რომელნიც იშოვნიდნენ ისეთ ექიმებსა და ფერშლებს, რომელნიც ხალხი ნდობით მოეპრობოდა და არ ჩასთვლიდა „საწამლავის გამავრცელებლად... განა სამი წლის წინად არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო ეს მეტად უსაჭიროესი რეფორმა, რომ რეაქციონურ თავად-აზნაურობაზე არ დაენახა ამაში საფრთხე თავის თავის ბატონობისათვის და სხვა.

ასე ლაპარაკობს გაზეთი. მისი აზრით, ადგილობრივ მცირე საერობო ერთეულების შემოღება საუკეთესო საშუალება იქნებოდა ხოლერასთან გასამკლავებლად, რადგან ხალხი ასეთ ორგანოში მონაწილეობას მიიღებდა და თავის მიერ მოწვეულ ექიმ-ფერშლებს უფრო ნდობით შეხედავდაო. რასაკვირველია ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ არც ამ საერობო ერთეულობისა და არც სხვა რეფორმის განხორციელების იმედია შესაძლებელი ვიქონიოთ. ჩვენი ცხოვრება მეტად შებორკილია, სიდუხჭირე საშინელი.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 ივლისი.

## საზღვარ-გარედ

**სოფია**. კონსტანტინოპოლიდან მოვიდა 112 მაკედონიიდან ლტოლვილი ბოლგარი.

**თეირანი**. სპარსეთის მთავრობამ სრული თანხმობა განაცხადა აუნაზღაუროს რუსეთის ქვეშევრდომთ ის ზარალი, რომელიც მათ მოუვიდათ წარსულ კვირას, როდესაც ბახტიარები შეესიენ სახლებს და სცარცვავდნენ.

**ნიუ-იორკი**. საგანგებო ზომები იქნა მიღებული ქალაქის გამგეობის წევრთა დასაცავად. გააძლიერეს პრეზიდენტ ტაფტის დამცველი რაზმი.

**ბუხარესტი**. 2 აგვისტოს სტამბოლიდან მოელიან „ერთობისა და პროგრესის“ პარტიის 200 წევრს და 100 სტუდენტს. ექსკურსანტებს თან მოსდევს ოსმალეთის სახალხო განათლების მინისტრი.

**ბერლინი**. მოვიდა ოსმალეთის ფინანსთა მინისტრი ჯავიდ-ფაშა, რომელიც მიიღო გარეშე საქმეთა მინისტრმა. მინისტრის მოსვლა დაკავშირებულია ოსმალეთის ახალ სესხთან და აგრეთვე ახლად შეტანილ გემების საქმის ფორმალური მხარის შესრულებასთან.

**ბრემენი**. ადგილობრივ გემთ-ამშენებელ ქარხნებიდან დაითხოვეს 55,000 მუშა.

**პეკინი**. ჩინეთის გაზეთები საუცხოოდ ...ნობენ კავშირი იქმნას შეკრული ამერიკის შეერთებულ შტატებთან. გაზეთების აზრით, ეს საუკეთესო პასუხი იქნება რუსეთისა და იაპონიის შეთანხმებაზე. გაზეთების ცნობით, მთავრობას გადაწყვეტილი აქვს შესაფერი ნაბიჯი გადასდგას ამ მიზნის მისაღწევად, აქ არსდება საზოგადოება, რომელსაც მიზნად ექნება დაიცვას და განავითაროს განაპირა ადგილები. ხმებია გავრცელებული, რომ ამ საზოგადოებას ფარულად მხარს უჭერს ახალშენთა სამინისტრო.

**შტეტინი**. ადგილობრივ გემის ამგებ ქარხნებიდან დაითხოვეს 3675 ... 800 მუშა.

### ჰაერში ფრენა

**ნანსი**. უკვე დაიწყო ჰაეროპლანებით საფრანგეთის ირგვლივ მესამედ შემოვლა. მონაწილეობას იღებენ ლუბლინი, ობრენი, და ლინდპენტნერი და ლებლინი პირველი მიფრინდა მიზიერში საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე. ლებლინი აფრინდა 5 საათსა და 32 წუთზე. ლონდპენტნერი მატორის გაფუჭების გამო ძირს დაეშვა ნანსიიდან ექვსი ვერსის მანძილზე.

**აზბერგი**. (ნიუჯერსის შტატი) ავიატორი ბრუკინი აფრინდა და ფრენის შემდეგ აპარატით ძირს ჩამოვარდა. ბრუკინი სასიკვდილოდ, დაშავდა. დაშავდა აგრეთვე რამდენიმე მაყურებელიც.

### რუსეთი

**მოსკოვი**. საიმპერატორო პატარა თეატრის არტისტი სადოვსკის დასაფლავებას დაესწრნენ გრადონაჩალნიკი და მრავალი პატივისმცემელი. კუბოს მისდევდა სამი ბალდახინი სულ გვირგვინებით სავ...ე. დასაფლავება პიატნიცკის სასაფლაოზედ მოხდა.

გამგეჯნავ ნაწილის გამგე სენატორი ჩაპლინი ეცნობა მოსკოვის გუბერნიის მიწად-მომწყობ კომიტეტის მუშაობას.

**სმოლენსკი**. პოკროვის მთიდგან რომ მოდიოდა ტრამვაის ვაგონი ტორმოზების წახდენის გამო დაქანდა ფერდობზედ, საშინელი ძალით დაეჯახა სახლს და დაიმსხვრა. საშიში ჭრილობები მიიღეს კონტროლიორმა და ნარვის პოლკის კაპიტანმა, ოთხი სუმბუქად დაშავდა.

**პეტერბურგი**. გაძლიერებული დაცვის წესები 4 სექტემბრამდე 1910 წლისა დატოვებულია ტობოლის გუბერნიის კურგანისა, იშიმისა, ტიუმენისა, ბერეზოვისა და სურგუტის მაზრებში და აკმოლინის ოლქის ომსკისა, პეტროპავლოვისა, კოკჩეტოვის მაზრებში.

**ხარკოვი**. ლომბარდების გამგეთა კრებამ სასურველად იცნო ლომბარდების კასსებისა და საკუჭნაოების შენახვა პასუხისმგებელ არტელებს მიანდონ. მოლებულია, რომ ლომბარდის გასახსნელად სამაზრო ქალაქში საჭიროა

5000 მ., საგუბერნიო ქალაქში—10000 მანეთი.

**დონის როსტოვი.** ქარიშხალმა, რომელსაც სეტყვა და წვიმა მოჰყვა, სახლებს სახურავები აგლიჯა, ტელეფონისა და ელექტრონის ბოძები წააქცია, სახლები დაანგრია, არის ადამიანთა მსხვერპლიც.

**ვარშავა.** სკერნეცის ახლო ტყეს რომ ჰყრიდნენ იპოვეს მამონტის ეშვი 2 არშინი სიგრძით.

**სამარა.** ცეცხლმა ეროზის სახლში, სადაც სულით ავადმყოფები არიან მოთავსებულნი, გადასწვა მეორე სართული. ავადმყოფების გამოყვანა მოასწრეს. ცეცხლის გაქრობის ხელმძღვანელობდა გუბერნატორი.

**პერმი.** გადაიწვა 65 სახლი, შესდგა კომიტეტი დაზარალებულთა საშველად.

**კიევი.** დნეპრმა მოიმატა. გემთა მიმოსვლა აღდგენილია.

**სიმფეროპოლი.** იალტაში მივიდა მიწად მოწყობის მთავარი გამგე კრივოშეინი.

**პეტერბურგი.** ფინლიანდიის 1910 წლის საგზაო ფონდის დამტკიცების დროს უმაღლესად არ იქნა შეწყნარებული 1909 წლის მეორე სეიმის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ახალ გზების გასაყვანად მეტი თანხა იქნეს გადადებული, საგზაო ფონდს გადაეცეს ექვსი მილიონი მარკა, რომელიც წინდაწინვეა მიცემული საშტატო ფონდიდან, მოისპოს საკლასო სისტემა ფინლიანდიის რკინის გზებზე. ხსენებული ექვსი მილიონი მარკა უმაღლესის ბრძანებით უნდა გადატანილ იქმნას საგზაო ფონდიდან, საშტატო ფონდში.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** სააგენტოს ცნობები ხოლერის შესახებ: კვირის განმავლობაში ხერსონში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 2, გუბერნიაში ავად გახდა 1140 გარდაიცვალა 482, ბალახნინის მაზრაში ავად ხახდა 63, გარდაიცვალა 28, ზემლიანსკისაში ავად გახდა 108, გარდაიცვალა 37, დონის ოლქში 18 ივლისიდან 35 ივლისამდე ავად გახდა 3253, გარდაიცვალა 1323. მორჩა 1565, პოლტავაში ავად გახდა 24, გარდაიცვალა 105, ეკატერინედარში აღმოაჩინეს 1 ხოლერიანი, პეტერბურგში ავად გახდა 80, გარდაიცვალა 37, მორჩა 39, ავად არის არის 861, ქალაქის ახლო ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2, ავად არის 24.

## ახალი ამბები

### ტ ფ ი ლ ი ს ი

◆ **ქალაქის სამხედრო საკრებულო.** 29 ივლისიდან ქალაქის სამხედრო საკრებულო უკვე შეუდგა მომავალ წელს ჯარში გაწვეულ ახალგაზრდათა შეღავათისა და უფლების გამორკვევას. ეს მუშაობა აგვისტოს შუა რიცხვებამდე გასტანს.

◆ **ქალაქის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა.** უკვე დაასრულეს და ქალაქის გამგეობას წარუდგინეს მომავალ 1911 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა ქალაქის სხვა და სხვა დაწესებულებებმა. ამ ხარჯთ-აღრიცხვათა განხილვასა და ქალაქის საერთო ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას ქალაქის გამგეობა შეუდგება მომავალ 2 აგვისტოდან. ვარაუდით, ქალაქის გამგეობა ამ შრომას დაასრულებს სექტემბრის პირველ რიცხვებში და ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიას გადასცემს შესამოწმებლად.

◆ **ხოლერიანთა რიცხვი.** სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 29 ივლისის დილის 9 საათიდან 30 ივლისის დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გამხდარა—4 კაცი, ხოლერის ნიშნებით—1. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო—37 ავადმყოფი, მიემატა—5, მორჩა და გამოეწერა—1, მოკვდა—3, დარჩა სამკურნალოში—38.

◆ **თავის მოკვლა.** 29 ივლისს, ქალაქს გარედ, ხუდადოვის ტყეში რევოლვერით თავი მოიკლა კავკასიის სარკინისგზო პირველ ბატალიონის მეორე როტის ჯარის კაცმა სიიზმუნდ სტაპჩაკმა. მოკლულის გვამი რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს. თავის მოკვლის მიზეზი—გამოურკვეველია.

◆ **შავ ჭირთან ბრძოლა.** ოდესაში შავი ჭირის გაჩენამ ტფილისელნიც დააფიქრა, რადგან შესაძლებელია ეს სენი იქიდან აქაც ეწვიოს. ამიტომ ხოლერასთან მებრძოლ ტფ. ბიურომ დაადგინა, 3 ივლისს კრება გამართოს ტფილისში შავი ჭირის შემოტანის წინააღმდეგ ღონისძიებათა შესამუშავებლად.

◆ **ბუნების მოყვარულთა საზოგადოებაში.** ბუნების მოყვარულთა ტფ. საზოგადოების გამგეობას აზრად აქვს მოკლე ხანში ექსკურსია მოაწყოს სვანეთში. ამ საგნის შესახებ მოსალაპარაკებლად გამგეობის კრება მოჰხდება ორშაბათს, 2 აგვისტოს.

◆ **ხოლერა.** პოლიციის ცნობით, 29 ივლისს ხოლერით ავად გახდა და ხოლერიანთა სამკურნალოში გაგზავნეს 6 კაცი. მათი გვარები: 1) პეტრე პორფირეს ძე ჩუროჩკინი, 2) ბარბარე აბრამის ასული ხუციშვილი (გარდაიცვალა), 3) ეკატერინე ვასილის ასული გუტეროვისა, 4) ივანე პიატიკონოვი, 5) თაქუა ყაზარიანცისა და 6) სირანუი'მ ასატურიანისა (გარდაიცვალა). ავადმყოფთა ბინებს შესაფერი დეზინფექცია გაუკეთეს.

◆ **ბუნების მოყვარულთა საზოგადოება.** ორშაბათს, 2 აგვისტოს, საღამოს 8 ს. დანიშნულია კრება ბუნების მოყვარულთა ტფილისის საზოგადოების გამგეობისა, რომელზედაც განიხილავენ საკითხს ლატპარის უღელტეხილზე, სვანეთში, ექსკურსიის მოწყობის შესახებ.

◆ **უფასო სახაიე გლდანში.** 28 ივლისს ქალაქის აღმასრულებელი ბიუროს წევრების მიერ სოფ გლდანის დათვალიერების დროს მცხოვრებლებმა მიმართეს თხოვნით გახსნან გლდანში უფასო სახაიე ქალაქის ხარჯზე. ბიურომ დაადგინა გაგზავნოს დიდი სამოვარი ჩაინიკებით და გადასდოს 80 მან. ჩაისა და შაქრის საყიდლად. შეძლებულმა გლეხებმა თავის მხრივ აღუთქვეს მატერიალურად დაეხმარებიან.

◆ **არჩევნები.** რადგანაც ქ. გორის ქალაქის ხმოსნებს ვადა გასდით ამა წლის 22 ოქტომბერს, ამიტომ ტფ. გუბერნატორმა გორის ქალაქის თავს წინადადება მისცა მოახდინოს ხმოსანთა არჩევნები 7 ნოემბერს.

◆ **ხოლერა ქუთაისის გუბერნიაში.** ხოლერის გაჩენიდან ქ. ქუთაისში ავად გახდა 17, გარდაიცვალა 3, ავად არის 14, ადგილობრივ საპატიმროში აღმოაჩინეს 3 ხოლერის მხრივ საეჭვო ავადმყოფი. ქუთაისის მაზრის ს. გეგუთში ხოლერის გაჩენიდან 22 ივლისამდე ავად გახდა 9, გარდაიცვალა 4, ავად არის 5, რაჭის მაზრის ს. გლოლის საზოგადოებაში ავად გახდა და გარდაიცვალა ეკატერინე ბიჭაშვილი.

◆ **ვერის დაღმართზედ ვაგონის გადაბრუნების საქმე.** ტფილისის საოლქო სასამართლომ მიიღო საბრალმდებლო ფურცელი ტფილისის ტრამვაის დირექტორს ბელგიის ქვეშევრდომ კარლოს ბატაილზედ, საფრანგეთის მოქალაქე ინჟინერ რენე იზამბერზედ და აზნაურ ა. ალექსანდერზედ, რომლებიც პასუხის გებაში იყვნენ მიცემულნი ვერის დაღმართზედ ამა წლის 5 იანვარს ვაგონის გადაბრუნების გამო. ბრალდება წარდგენილია სასჯელთა დებულების პირველი ნაწილის 1085 მუხლით, რომელიც შეიცავს კატორგაში გაგზავნას. დაშავებულთაგან ჯერ მხოლოდ ორმა—მასწავლებელმა ლიდია ლუტცაუმ და ვატმანმა ვიალოვმა სამოქალაქო წესით სარჩელი აღძრეს. ბრალდებულთ იცავენ ნაფ. ვექ. მ. გრუზენბერგი და კლანკი.

◆ **მკვლელობა ახალქალაქში.** სადგურ ხუმრის ახლო, მზის ჩასვლისას ვიღამაც ესროლა და მოჰკლა 10 წლის ბიჭი არშალუის მოსისოვი, რომელიც ხბორებს ჰყარაულობდა.

◆ **უპასპორტონი.** 29 ივლისს საერთო ჩხრეკის დროს პოლიციამ შეიპყრო: მეორე საპოლიციო უბანში—24 უპასპორტო, მეშვიდეში—19, მერვეში—28, მესამეში—18 და მეთერთმეტეში—6.

◆ **სენატორი ვატაცი სვანეთში.** კავკასიის ნამესტნიკის დავალებით მისი თანაშემწე სენატორი ე. ა. ვატაცი ხვალ, 31 ივლისს გაემგზავრება სვანეთს. სენატორი პირადად ინახულებს სვანეთის სოფლებს იმ აზრით, რომ დაწვრილებით გამოარკვიოს ამ მივიწყებულ ადგილის საჭიროებანი. სენატორი ვატაცი სვანეთში დაჰყოფს სამ კვირამდე.

◆ **მუხრანის ხიდი.** უკვე დასრულდა გაკეთება და შეღება მუხრანის ხიდისა და მოძრაობაც ხიდზე ჩქარა დაიწყება. გუშინ წინ ხიდი დაითვალიერა ქალაქის სატეხნიკო კომისიამ და მოიწონა.

◆ **წყალი საბურთალოზე.** როგორც იყო დაკმაყოფილდეს საბურთალოელების თხოვნა-მუდარა. გუშინწინ ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა დაიწყოს მუშაობა საბურთალოზე წყლის მილებით წყლის გაყვანა. როგორც ამბობენ, საბურთალოელებს დახმარება ინჟინერი ქურდიანი. მას სხვათა შორის დაუთვალიერებია ადგილობრივ საბურთალო და უნახავს რა გაფუჭებულ ქვის წყალს სვამდა ხალხი.

◆ **ჟურნალი „ნაკადული“.** რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ნაკადულის“ მე-14 ნომერი მცირე წლოვანთათვის. შინაარსი: 1) ყაყაჩო და ია,—ლექსი შ. ქართველიშვილისა, 2) ნუცას კოლექციები—ელოსი, 3) როგორ გაჩნდა ქვეყნად ჟირაფი (თარგმანი) ელენესი, 4) მზე და მთვარე,—ლექსი (პოლ ინსკიდან), თეო კანდელაკისა, 5) თუთიყუში და კატა (თარგმანი ოლგა ჰრელოშვილისა 6) აქლემის საკუჰნაო (ვაგნერიდან) დ. ყიფიანისა. 7) გამოცანა რებუსი და ახსნა.

◆ **ქ შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გერის სახალხო სამკითხველოს გამგე დიდს მადლობას სწირავს ბ. ალექსი მეტრეველს, რომელმაც სამკითხველოს შესწირა ცხრა სხვა და სხვა ქართული წიგნი.

◆ 29 ივლისს ბროსეს ქუჩაზე იპოვეს დაგდებული ბავშვი მამრობითი სქესისა, დაახლოვებით ორის თვისა. ბავშვი ოდეკის სახებით ინსტიტუტში გაგზავნეს.

## პატარა ფელეტონი

### სილა

სახლში მოსვლისას კიდევ ბევრი ხანი ბაასობდნენ საძილო ოთახში, რომელსაც ლურჯი ფარანი ნაზად ანათებდა.

უფრო კი ცოლი იყო აღელვებული:

— სულ მთლად ვკანკალობ!—ეუბნებოდა ქმარსა.—წინამ რომ თავის ქმარს სილა გასცხო, თვალებში ყვვლაფერი ამერია!

— ჰო, რასაკვირველია, ასაღელვებელია!—დაეთანხმა ქმარი.—მთელი საზოგადოების თვალწინ ქმარს სილა გაარტყა! ან იჩხუბო! ფუ, მათ ადამიანობას! თუმცა იცი, ქმარმა პირველმა შეურაცხჰყო, სულელი დაუძახა...

— მართალია, მაგრამ რად მიიყვანა მანდამდის!

— რითი?

— ოხ, ღმერთო ჩემო! [illegible] ... დამო უსიამოვნებას [illegible] აყენებდა; კუდივით სულ უკან დასდევდა. ვერ შეამჩნიე, როგორ ხანა წითლდება, ხანა ყვითლდება ქარი?

— არ შემიმჩნევია.

— მე კარგად მახსოვს! შეძლება პირდაპირ ითქვას, რომ სულ ცოლის ბრალი იყო ეს ჩხუბი.

— მაინც ის კაცია; უნდა თავი შეეკავებინა!

— ვგონებ თავის შეკავება ძნელია, უკან კუდივით რომ იმისთანა მაჯლაჯუნა დაგდევს.

— მე კი ვიმეორებ, რომ ის კაცია და მოვალე იყო თავი შეეკავებინა. მაშ რაღათი უნდა განსხვავდებოდეს კაცი ქალისაგან, თუ თავის შეკავებაც არ შეუძლიან თავისს დროზედ.

მოლაპარაკენი ახლო ისხდნენ. სიტყვების შემდეგ კი ქალმა გაიწ[ყრა] და ტუჩები მოკუმა.

— ეგ ვის გადაჰკარი ვითომ?

— ღმერთმა დამიფაროს! არავის რას ა მბობ!

ქმარმა მიიწია და ხელი მოხვია.

— ეგ რა საფიქრელია? ხომ იც[ი] როგორ მიყვარხარ!

ცოლმა ქმრის მხარზედ თავი დაადო, და ოცნებით სავსე თვალი ფარნის შუქს მიაპყრო.

— რასაკვირველია, ჩვენ ეგრე თავი დღეში არ შეგვემთხვევა!—თვალები მილულვით წარმოსთქვა ცოლმა.—აი უკვე ორი წელიწადია ჩვენი ერთად ცხოვრება და ჯერ ერთხელაც არ გვიჩხუბია! მე ვფიქრობ, რომ ვერც კი გამლანძღავდი ცუდის სიტყვებით!

— დიაღაც! არ მესმის ინტელიგენტ ადამიანებში ჩხუბი და ლანძღვა!

— არც მე! მეც თავის დღეში ხელ ვერ მოვიღებდი შენზედა!

კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ ცოლმა დაუმატა—არასოდეს!

— შეამჩნიე, ცოლი როგორ გაწითლდა, ქმარმა რომ გალანძღა?—ჰკითხა ქმარმა.—თავისი ზედატანის ფერი გახდა.

— წითელი ზედატანი როდის ე[ცვა] მერე...—გაუსწორა ცოლმა.—ვ[არ]დის ფერი იყო.

— არა, ჩემო მეგობარო, კარ[გად] მახსოვს რომ წითელი ეცვა.

— მეც კარგად მახსოვს, ხომ ი[ცი] ქალები უფრო ამჩნევენ მაგ გ[ვა]რამეს. გეუბნები, რომ ვარდის ფე[რი] ეცვა.

— არა, წითელი ეცვა!

— ვარდისფერი იყო!

— გარწმუნებ, წითელი იყო!

— ჩხუბი გინდა და მხოლოდ ი[მი]ტომ აჩირებულხარ! მაინც ძალ[ი]ან გიყვარს ჩხუბი, ეს შეგამჩნიე!

— მე მხოლოდ მაშინა ვჩხუბ[ობ], როცა დარწმუნებული ვარ ჩემს სი[...]

## მარტოობა

სადაც უნდა ვიყო, ყველგან ყოველთვის მარტოობა ჩემი თანამგზავრია. მუდამ თან დამდევს, როგორც აჩრდილი, ვით შურის მაძიებელი ლანდი, გარეწარ კაენს თან რომ დასდევდა. დიდი ხანია, რაც მას ვიცნობ. არ ყოფილა ერთი წამი ჩემს ცხოვრებაში, რომ ის ჩემთან არ ყოფილიყოს. განთიადისას, როს მთვარე ჩავა და ჩაჰყვება ფერგამკრთალი ვარსკვლავთა კრება, მისი აჩრდილი მზეს ამოყვება. კარგად ვამჩნევ მას, რადგან ის ჩემი სულის გაყოფილი ნახევარია. საღამოს, როს დაბინდდება და არემარეს მკვდარი მდუმარება დაეპატრონება, მაშინ მე ის მესაუბრება. სხვებს კი ჰგონიათ, რომ დუმილი ჩურჩულებს. როგორც მფარველი ანგელოსი აღარ მშორდება და ნამდვილად კი დემონია იჭვნეული სული, რადგან არ მაქვს მისგან მოსვენება. თვალწინ მითრთის მისი აჩრდილი, მაშინაც კი, როცა ვისმეს ველაპარაკები. მის თვალებს... კი შურისძიების ცეცხლით აგზნებული ნუ მომაგონებთ. ოხ! ვის, ვის ძალუძს გამოიაროს ტანჯვა ესოდენი, რაც მათ გამოისობით ამიტანია. მგონი წყეული ტორკვემადოც შემიბრალებდა... მაგრამ აჩრდილი სასტიკი და ულმობელია. მისი ღიმილი ღიმილია მეფისტოფელის და მის ხარხარზე კი, ვით სათელის ქნარზე არე-მიდამო კვნესის და მოსთქვამს. ალბად ამ ყოფას გრძნობდა მგოსანი, რომელმაც გვამცნო „ძნელი არის მარტოობა სულისა, მას ელტვიან სიამენი სოფლისა“, ალბად ეს მქირდავი აჩრდილი იყო, რომელმაც მას მოუწამლა და წარუწყმიდა სარწმუნოება და დასტოვა „ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მაშვრალი. მითხარ აჩრდილო, გაფიცებ, თანაც გემუდარები დიდხანს დარჩები კვლავ ჩემთან, მარქვი—ოხ! მითხარი არ მომშორდები? მეყო რაც ვზიდე ტანჯვის უღელი, რაც თვალთ მდიოდა ცრემლი მდუღარე; გემუდარები, ჩამომხსენი ტანჯვა მკმარე, სიმშვიდე სულის დამიბრუნე?! მაგრამ ეს ბოდვა აჩრდილს არ ესმის და რომ ესმოდეს გაიგონებს კი? კუბოს ფიცრამდი თან ჩამომყვება! მგონი საფლავშიც არ მომასვენოს! და რად მინდა სიკვდილის შემდეგ კიდევ ცხოვრება, თუ ის აჩრდილი იქაც იქნება?!.

ტ. ტაბიძე.

## ბიოლოგიური შენიშვნები

XII *)

წინა წერილებში ჩვენ განვიხილეთ ცხოველთა და მცენარეთა გამრავლების სხვა და სხვა ფორმა. ჩვენ გვინდოდა გაგვეზიარებინა მკითხველისათვის ზოგიერთი კერძო მოსაზრებანი ამ კითხვის შესახებ და ამისთვის განგებ შევჩერდით ცოტათი ვრცლად განაყოფიერების პროცესზე. ეხლა გადავიდეთ მეორე საკითხზე, დავინახოთ, როგორ მრავლდებიან ორგანიზმები? რა უწყობთ მათ ხელს ამ გამრავლების დროს? რა გავლენა აქვს მაზე სხვა და სხვა პირობებს? ე. ი. ვნახოთ, ექვემდებარება თუ არა გამრავლება ბუნების რომელიმე კანონს?

როგორც ვიცით, ყოველივე ცხოველი და მცენარე კარგად ხარობს და სცოცხლობს იმ ადგილს, სადაც კარგადაა შეჩვეული და შეწყობილი. თუ გარემოცული პირობანი ხელს არ უწყობენ, ვერც მცენარე და ვერც ცხოველი ფეხს ვერ მოიკიდებენ და უეჭველად უნდა დაძაბუნდნენ და გადაშენდნენ ამ წუთი-სოფლიდან. ამნაირად შეჩვეულ ადგილს და ჩვეულებრივ პირობებს დიდი გავლენა აქვთ როგორც თვით ორგანიზმებზე, ისე მათ გამრავლებაზე. ამისი მაგალითები ბევრია ბუნებაში. ავიღოთ მაგ., სპილო. სპილო ტყის ცხოველია. იქ ის კარგად გრძნობს თავის თავს, კარგად სვამს, კარგად სჭამს და დრო-დროზედაც ნაყოფიერდება, თითქმის ყოველივე წლობით იგებს თითო-თითო შვილს, მაგრამ ამასთანავე, როდესაც მას დაიჭერენ, მოაშორებენ შეჩვეულ ადგილს, რაც რომ პატივით მიეპყრათ, კარგად ასვათ, კარგად აჭამოთ და ხშირ-ხშირად შეაუღლოთ განაყოფიერებას მაინც ვერ მოახერხებთ. ბევრ ადგილას სპილო მოშინაურებულ ცხოველად ითვლება და ჯერ არავის არ უნახავს, რომ ის ამ არა-ბუნებრივ პირობებში განაყოფიერებულიყოს. აი, ამგვარია არა ჩვეულებრივი პირობების გავლენა სპილოს გამრავლებაზე: დატყვევება, თავისუფლების წართმევა უკარგავს მას უმთავრესს სიცოცხლის მიზანს —შთამომავლობის გაჩენას.

ავიღოთ სხვა მაგალითი. ზოოლოგიურ ბაღში ბევრი ცხოველი ჰყავთ დამწყვდეული. ყველა მათ კარგად უვლიან, კარგად ასმევენ, კარგად აჭმევენ, და ამის მიუხედავად ისინი მაინც ვერ მრავლდებიან. ერთ ზოოლოგიურ ბაღში ჰყოლიათ ასამდე მაიმუნი—იმათში 60 მდედრობითი სქესი ყოფილა 40 მამრობითისა. საზოგადოდ, მაიმუნები ხშირად უღლდებიან, თავისუფლად არიან თუ დატყვევებული, ეს იმათთვის სულ ერთია, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ როდესაც ისინი უღლდებიან თავისუფლობაში, ყოველთვის ნაყოფიერდებიან და ყოველივე წელს შობენ თითო-თითო შვილს, ტყვეობაში კი ძვირად ნაყოფიერდებიან 100 მაიმუნიდან 9 წლის განმავლობაში განყოფიერებულა მხოლოდ 5 და უშვია 7 შვილი.

ჩვენში ბევრს ჰყავს დამწყვდეული გალიაში იადონი, ბულბული, ჰქვავი, შროშანი და სხ. ყველა ეს ფრინველები ტყეში თავისუფლად გრძნობენ თავიანთ თავს, თავისუფლად სდებენ კვერცხებს და თავ-თავის დროზე მრავლდებიან. გალიაში კი, რა პატივითაც არ უნდა მოეპყრათ, ვერც კვერცხს სდებენ და ვერც მრავლდებიან. გამოჩენილ ლუმბოლტს ამერიკაში უნახავს ერთი თუთიყუში, რომელიც თურმე ლაპარაკობდა იმ ხალხის ენაზე, რომელიც გამქრალიყო დედამიწის ზურგიდან. თუთიყუში 200 წლის მოშინაურებული ყოფილა, ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ სცდილან მისს განაყოფიერებას, მაგრამ მაინც ვერ მოეხერხებიათ,—აი კიდევ ერთი მაგალითი, თუ როგორ ასუსტებს ტყვეობა სქესურ მოქმედებას. როგორც ყველამ ვიცით მრავალ ფრინველთა მამლები დიდად განირჩევიან დედლებისაგან. გარდა იმისა, რომ მამლები უფრო დიდი ტანისა არიან, ისინი უფრო ლამაზად, ფერად ფერადად არიან მორთული, კუდიც სხვანაირი აქვთ, ფრთებიც, თავიც და ბუმბულიც—საზოგადოდ მამლების მორთულება უფრო ლიაა, ვიდრე დედლებისა. როგორც დარვინმა დაგვიმტკიცა, ამ ლია მორთულებას თურმე დიდი მნიშვნელობა ჰქონია ფრინველთა სქესურ მოქმედებაზე. ამ მორთულებით მამლები ჰხიბლავენ დედლებს, იგებენ მათ გულს და სიყვარულს—ამას სჩადიან მამლები, როდესაც ისინი თავისუფლად სცხოვრობენ ტყეში ან ველში—მაგრამ დაიჭერენ თუ არა მათ და დაატყვევებენ, მალე იცვლიან ფერს, ბევრად კარგავენ თავიანთ სილამაზეს, სდუმდებიან, დაივიწყებენ როგორც სიყვარულზე მღერას, ისე შთამომავლობაზე ფიქრს. ტყვეობაში ვერც ერთი ფრინველი ვერა მრავლდება—ზოგიერთი მათგანი, მართალია, სდებს კვერცხს, სჩეკს ბარტყებს, მაგრამ ბარტყები ან უდღეო გამოდიან, ან ყოვლად მახინჯები.

ჩვენ შეგვეძლო აქ მოგვეყვანა ბევრი ამ გვარი მაგალითი, მაგრამ საკითხისათვის, ვგონებთ, ესეც საკმარისია—ჩვენ გვინდა მხოლოდ შევჩერდეთ შემდეგზე. მკითხველს შეუძლია მოგვცეს კითხვა; თუ მოშინაურებული სპილო, შროშანი, იადონი, თუთიყუში თავისუფლების დაკარგვის დროს ჰკარგავენ განაყოფიერების და გამრავლების ნიჭიერებას, სხვა მოშინაურებულმა ცხოველებმა—ცხენმა, ხარმა, ძაღლმა, ქათამმა და სხ. რაღა დააშავეს? ხომ იყო დრო, ოდესმე ესენიც გარეულ ცხოველებად ითვლებოდნენ? ხომ ცნობილია, რომ ყველა ესენი ეხლა კარგად სცხოვრობენ და დრო-დროზე მრავლდებიან! რატომ ამათაც არ დაჰკარგვიათ განაყოფიერების და გამრავლებითი ნიჭიერება? მართალი შენიშვნაა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა ეს ცხოველები თვალ-მიუწვდომელ ხანიდან არიან მოშინაურებული და ის პირობანი, რომლ[ებ]შიაც ისინი სცხოვრობენ ეხლ[ა] ჟამთა განმავლობაში, შეცვლილ[ან] ჩვეულებრივ პირობებად. სპილ[ო], შროშანი, თუთიყუში კი დიდი ხ[ანი] არ არის, რაც მოშინაურებულ[ი] არიან—შემდეგში, ადვილი შ[ეს]ძლებელია, ესენიც ისე შეეჩვევ[ი]ან ახალ პირობებს, როგორც ეხ[ლა] შეჩვეულია ცხენი, ხარი, ქა[თამი] და სხვა ჩვენი ცხოველები.

ყოველივე ის, რაც ვსთქვით ც[ხო]ველებზე, შეგვიძლიან ვსთქვათ მ[ცე]ნარეებზედაც. მცენარეებიც სცოცხლობენ და ექვემდებარ[ებიან] საზოგადო ბუნების კანონს! ჯერ [კი]დევ გამოჩენილმა ბუნების მეტყ[ველ]მა ლინეიმ მე-XVIII საუკუნეში [შე]ნიშნა, რომ მცენარეები ვერ ი[ტანენ] შეუჩვეველ პირობებს. ა[ლპის] მცენარეები კარგად სცხოვრ[ობენ] და ხარობენ ალპებზე, მაგრამ [რო]დესაც ისინი გადააქვთ სხვაგან [და] ნერგავენ ბაღებში, ვერ ხარო[ბენ] და ვერ მრავლდებიან. ყვე[ლაზე] უფრო სავსებით ეს საკითხი [შეს]წავლილია დარვინს. მას თავის [შე]ნიშნავ გამოკვლევაში „მოშინაურე]ბული ცხოველები და შემუშავე[ბუ]ლი მცენარეები“ მრავალთ მ[რავა]ლი მაგალითი მოჰყავს ამის და[სამ]ტკიცებლად. ჩვენც ამ შრომი[დან] მოვიყვანთ რამდენიმეს. სხვა მც[ენა]რეთა შორის არიან იმისთანე[ბიც] (ვარდი, მიხაკი, სუმბული, რომ[ელიც]) მრჩხობლ ფურცლიანი ყვავილი [...] ფოთლის შეხედვით ამ გვარ ყ[ვავი]ლს უწოდებენ სახელად მრჩ[ობ]ლფოთლიანი ყვავილი (Махровые [цвe]ты)— საზოგადოდ, ყველა ყვ[ავილს] აქვს გამამრავლებელი ორგან[ოები,] პალო და სანაყოფე, მრჩობლ[ფო]თლიან ყვავილს ან არ აქვს

*) იხ. „სახ. გაზ.“ N 59.

თლეში! აქ კი დარწმუნებული ვარ, რომ წითელი ზედატანი ეცვა.

— ჰო-ო! აი თურმე რაშია საქმე! ნდაზა ხომ იცი: ვინცა ჩხუბობს და რ იცის—სულელია, ვინც იცის და ხუბობს მხეცია.

ქმარმა ხელი გაუშვა ცოლსა და ქით გადაჯდა.

— მაშ მე რა ვარ შენის აზრით?

— ხომ ირწმუნები, რომ ვიციო?

— მაშ მე მხეცი ვარ?

— როგორც გინდა ისე მიიღე!

აღელვებულმა გაიარ-გამოიარა...

— კარგი!..—ბოლოს უთხრა ქმარა.—ვთქვათ, მე ვიცი და ვჩხუბობ, მაგრამ შენ რომ არ იცი და ჩხუბობ!

ცოლი წამოხტა.

— მაშ, მე სულელი ვარ?

— შენ თითონ ამბობ...

— კარგი! ბოლოს ხომ მაინც გატყდი! ალბად მთელი ეს ორი წეიწადი თქვენ სულ მაგასა ფიქრობით.

— წინად შენ დამიძახე, მერე მე.

— დაგიძახე, კარგად მიქნია! ვინც ლის სულელს ეძახის-..

— თავი დამანებე თუ ღმერთი წამს! პირველად შენ დაიწყე ხომა! მშვიდობიანად შევნიშნე, წითელი ედატანი ეცვა მეთქი!

— არა, ვარდისფერი ეცვა! გაიგე: -რდის-ფერი!..

აღელვებული ცოლი მთლად კანალებდა.

— დიდი მხეცი ყოფილხარ, თუ ერებსაც ვერ გაარჩევ!

— რას იგინები!

— კიდევაც გაგინებ! დიდი ხანია, მჩნევ, რომ ბევრს გითმობ ხოლმე. რს დღეში ერთხელ მაგალითად საკრებულოში მიდიხარ ხოლმე... ვიომ მართლა საკრებულოში დადიარ? ვიცი, ვიცი, როგორ ქალებთან ტარებ დროსა...

— გაგიჟდი!

— სრულებითაც არა! გარყვნილო ამიანო...

— დაიცა!

ცოლმა ყვირილი დაიწყო:

— დაღუპე სრულიად ჩემი ახალგაზრდობა და სიცოცხლე!.. ვალოდიას უნდა გავყოლოდი ცოლად-..

ქმარი გაფითრდა და ერთი ნაბიჯი ოლისკენ გადადგა.

— გაჩუმდი... რა მალ-მალ ალსენებ ოლაც ვალოდიას!

ის უკვე სრულებით გაჯავრებული ყო.

— ვალოდიას მზითევში ისე ვერ მოატყუებდნენ, როგორც მე მომატყუეს!

— როგორ გაბედე მაგისი თქმა! არაზადავ!

— გავბედავ. როცა კაცს იქამდის მიყვან!

— უზრდელო!

— გაჩუმდი,..

— სათოკე!

— გთხოვ, ნუ შეურაცყოფ!

— ზნედაცემულო!

ქმარმა მიიწია,

— გაჩუმდი თორემ...

— თორემ რა? ცემა გინდა ჩემი!— გაავთრებულმა ცოლმა მუშტებით მიიწია ქმარზედ.—აჰა, მცემე, მცემე, რალა უმგსავსო, ქალსა სცემ! მცემე!

გაფითრებულმა ქმარმა ომა გაისწორა და მოშორდა. ცოლი უკან გაჰყვა.

— ქურდო!

— რაიო?

— დიაღ.. დიაღ... ქურდო!.. შენ მომპარე ჩემი ახალი გაზდობა, სილამაზე!

— თუ მე არა ვყოფილიყავ, აქამდის უნდა გაუთხოვარი დარჩენილიყავი ბედ-დაძვირებული!

— რაიო!

ცოლი მივარდა და კარგი სილა უთავიზა. ქმარმა ხელი ჰკრა.

ათი წუთის შემდეგ: ცოლს ბალიშებში ჩაეყო თავი და გულამოსკვნილი ტიროდა. ქმარი კი ფანჯარასთან მიმდგარიყო და ხელსახოცს დაკაწრულ სახეზედ იდებდა.

სიჩუმე იყო. ლურჯი ფარანი მბჟუტავ სინათლეს უგზავნიდა იქაურობას და მის მკრთალ შუქზედ კედელზე აამოკიდებული სურათები გაკვირვებით უცქეროდნენ „მოსიყვარულე" ცოლქმარს.

**გ. ნამორაძე.**

## მღვიმევის დედათა მონასტერი და სოფ. მღვიმევი

(წერილი შორაპნის მაზრიდან)

ჭიათურიდან ორი ვერსის მანძილზედ, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, კლდის ციცაბო დაღმართზედ მდებარეობს მღვიმევის მონასტერი, რომელიც წარმოადგენს საქართველო-ვიზანტიის ხელოვნების ნაშთს. მონასტრის სახელი წარმომდგარა სიტყვა „მღვიმე"-დან, რადგანაც თვით მონასტრის ეკლესია მღვიმეში არის შედგმული და მახლობლად მონასტრისა აგრეთვე ნახავთ ბევრ შესანიშნავ მღვიმეებს. მღვიმე, რომელშიაც მონასტრის ეკლესიაა შეშენებული, არის ბუნებითი, სიგრძით 20, სიგანით ხუთი და სიმაღლით ორი საჟენი. ზემოდგან მღვიმეში კლდიდან გადმოჟუხს ცივი ანკარა წყარო, რომელსაც მიდგმული აქვს დიდი ძაბრი, ამ ძაბრში შეგუბებული წყალი რკინის მილში ჩამოდის ძირს, სადაც მოწყობილი აქვს ონკანი. წინად ეს წყარო ხის ღარებით ყოფილა ჩამოყვანილი, შემდეგ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს გაუკეთებია თავისი ხარჯით. მღვიმეს თავზედ ხარობს ჭალა ბუჩქნარი. სამხრეთის მხრით მღვიმეში შეშენებულია მონასტრის პატარა, ლამაზი და შესანიშნავ ხუროთ-მოძღვრებრივ თლილ ქვის ეკლესია; გარედან კედლებზე გამოქანდაკებულია ჯვრები და სხვა და სხვა ჩართულ გადაბმული ჩუქურთმა. ეკლესია სიგრძით ხუთი საჟენი იქნება, სიგანით კი ოთხი. მონასტრის დაარსების შესახებ ეკლესიაში არავითარი რაიმე ძველი ხელთნაწერი არ იშოვება. ზეპირ გადმოცემით დაარსებულა მეოთხე საუკუნეში. მას ამშვენებს კოხტა გუმბათი თავის ჯვრით. შიგნით ეკლესიის კედლებზედ დახატულია წმინდანები და საქართველოს ისტორიული პირები, მაგრამ დღეს თითქმის კარგად აღარ აჩნევია და მათი გარჩევა ძნელია, ხოლო მარცხნივ ჩრდილოეთის კედელზედ გავარჩიე ორი დიდი სურათი რაჭის ერისთავის რატის და მისი მეუღლის რუსუდანისა შემდეგის წარწერით: „ამა ეკლესიის აღმაშენებელი რაჭის ერისთავი რატი კახაბერიძე და მისი თანამეცხედრე რუსუდანი". მეტი წარწერა და ვერც ქორონიკონი ვეღარ გავარჩიე. კანკელში შესანიშნავია ოთხი ხატი, შემოწირული რაჭის ერისთავის რატის და მისი მეუღლის რუსუდანის მიერ; ორი მაცხოვრის ხატია, ერთი ღვთისმშობლისა და ერთიც იოანე ნათლის მცემლისა; სიმაღლით თითო ერთი ადლი და ერთი ჩარექია, სიგანით თითქმის ერთი ადლი; ხატები ოთხივე ოქროსი არის. შესანიშნავია აგრეთვე ვერცხლის კვერთხი, ჯვრით და სანაწილეთი თავზედ, სიმაღლით $2^1/_2$ ადლი. ეკლესია აშენებულია ღვთისმშობლის მიძინების სახელობაზედ და დღესასწაულობს მარიამობას 15 აგვისტოს. ადგილი, სადაც მონასტერია გაშენებული, მშვენიერ სურათს წარმოადგენს.

ჩრდილოეთით გადმოსჩერებია დიდი კლდე, სამხრეთით აივანი აქვს და ქვითკირის გალავანი, საიდგანაც გადასცქერის მდ. ყვირილის ხეობას. მღვიმეში ისეთი სიგრილეა, რომ რაც უნდა ძლიერი სიცხე იყოს გარედ, იქ მაინც ვერ გრძნობ. მონასტრის მახლობლად იქვე მეორე კლდეზედ გამოქვაბულში არის პატარა სამლოცველო, რომელშიაც ძლივსღა მოთავსდება ხუთი ექვსი კაცი. როგორც დიდი, ისე პატარა მღვიმეების კედლებში ნახავთ ძველ ჩემოდრების ძვლებს. მონასტერში დაარსებიდგან ბერები ყოფილან, მაგრამ ამ ნახევარი საუკუნის წინად დედათა სავანედ გაუხდიათ. მონოზნები ითვლება 30, წინამძღვრად არის თეოდოსია ქიქოძის ქალი. მონასტერს საკუთარი მღვდელი ჰყავს, რომელიც სცხოვრობს იქვე გალავნის გადმოღმა მონასტრის სახლში. მონასტრის დანი მცირე ჯამაგირებს იღებენ ხაზინიდან: წინამძღვარს ეძლევა წელიწადში 200 მანეთი, მონაზონს წელიწადში 30 და მორჩილი 20 მანეთი. წინად მონასტერს ჰყოლია გლეხები და უძრავი ქონებაც ბევრი ჰქონია, მაგრამ გლეხების განთავისუფლების შემდეგ თავ, წერეთლებს ჩამოურთმევიათ გლეხები და აღუთქვამთ მონასტრის შენახვა, რის შესახებ ხელ წერილიც დაუდვიათ; შემდეგ საქმე მიყრუებულა რამდენიმე ხნის შემდეგ, დაპირება აღარ შეუსრულებიათ და მონასტერი ინახებოდა ადგილების შემოსავლით, რომლებიც მონასტერს გაცემული ჰქონია. როდესაც ჭიათურის მიდამოებში შავი ქვის მადნები აღმოჩენილა, რასაკვირველია მონასტრის ადგილებშიაც უნახავთ, წერეთლებს საჩივარი აღუძრავთ ამ ადგილების შესახებ, დღეს სასამართლოს წერეთლების სასარგებლოდ გადაუწყვეტია საქმე, ხოლო, როგორც გადმომცეს, დაუვალებია მათთვის მონასტრის სასარგებლოდ წლიურად დაწესებული ფულის გადახდა, მაგრამ ეხლა თურმე წერეთლები აპირებენ სამაგიეროდ ადგილების სარგებლობით გამოწვეულ ოცი წლის ზარალის საჩივარს. ამ გვარად მონასტერი დღეს ძლიან სამწუხარო მდგომარეობაში იმყოფება, უძრავი ქონება აღარა აქვს, შემოსავალი სხვა რამ არაფერი, მლოცველები ბევრი არავინ მიდის დი არასა სწირავენ. ასე რომ, თუ ხაზინამ არ გაუდიდა მონასტრის დათ ჯამაგირი 100—150 მანეთამდე მაინც, ისე მონასტრის არსებობა შეუძლებელია და მოუხერხებელი.

მონასტრის ზემოდ 1 ნახ. ვერსის მანძილზედ იმყოფება სოფ. მღვიმევი, რომელიც ეკუთვნის წირქვალის საზოგადოებას. ამ სოფელსაც, რაღა თქმა უნდა, მონასტრისაგან დარქმევია სახელი. ბუნებას ეს სოფელი დაუჯილდოვებია მშვენიერი მდებარეობით, შესანიშნავი საგარაკო ჰაერით და შავი-ქვის მადნებით. მცხოვრებთა რიცხვი ამ სოფელში 200-მდეა. აქ ცხოვრობენ გაფრინდაშვილები, ღუღუნიშვილები, ბრეგვაძეები, მასხარაშვილები და ოთხიხუთი მოსახლე ვაშაძე და არუსიძე. სიმინდი და ღვინო ამ სოფელში არ მოდის საკმაოდ, რადგან მცხოვრებლები შავი ქვის აღმოჩენის შემდეგ უმეტეს ნაწილად ამ მრეწველობას მისდევენ და მეურნეობისათვის სრულიად თავი მიუნებებიათ. მიუხედავად იმისა, რომ აქეთ ვენახი ძლიერ ხეირობს, ორას მოსახლეში 5 პროცენტს თუ ექნება ნამყენი ვაზი. მთელი სოფელი დაჯვრეტილი არის მაღაროებით და დედა-მიწას გული გამოფიტული აქვს. ბევრგან მეწყერისა გამო ვენახე ჩანგრეული სამოსახლოები; ქვითკირის ეკლესიის კედლები და გალავნები ბევრგან ხშირად დახეთქილია. ჩემის აზრით ასეთ სოფლებს არ მოელის კარგი ბედი, როდესაც 40—50 წლის შემდეგ დედა-მიწა მთლად გამოლრუებული დარჩება. სწავლა-განათლების მხრით ეს სოფელი სიმხიარულოს არას წარმოადგენს. წირქვალში არსებობს ერთკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, სადაც მაინც და მაინც არა ჰგზავნიან ბავშვებს, რადგანაც ბავშვი წამოიზრდება თუ არა და წალკატის ზიდვას შესძლებს, ქვის მუშაობას ჰკიდებს ხელსა.—შუა სოფელში აგებულია ქვითკირის წმ. ბარბალეს სახელობის ეკლესია, რომელიც კარგაა მორთული შიგნით ხატებით, ხოლო კედლები და გუმბათი ბევრგან დახეთქილია და საშიშროებას წარმოადგენს. ამ ეკლესიაში თვეში წირვა-ლოცვა ორჯელ თუ არის, რადგან აქაო მღვდელი მეორე სოფელში კიდევ ზედ მიწერილი ეკლესია აქვს ჩაბარებული და იქაც სწირავს. შაბათობით ეკლესიის მნათე დილა ადრიანად ჰრეკავს ზარსა, რითაც აცნობებს მრევლს, რომ დღეს საკურთხების მოტანის დღეა. ორი-სამი საათის შემდეგ ეკლესიის გალავანში 20—30 კალათი საკურთხით სავსე და ხელდოქვებით ღვინო სდგას. შუადღისას მღვდელი აკურთხებს ამოალაგებს, კარგ სანოვაგეს ხურჯინში ჩაილაგებს და დანარჩენით უმასპინძლდება როგორც თვისს თავს, ისე მედავითნეს მნათეს და საკურთხის მომტანთ. ეს ჩვეულება სრულდება მიცვალებულების ჭირისუფლების მიერ ყოველ შაბათობით ერთი წლის განმავლობაში.

**ლადო ბზვანელი.**

## მოწერილი ამბები

**ს. ოფშკვითი** (იმერეთი). ოფშკვითი კარგა მოზრდილი სოფელია. მდებარეობს მდინარე რიონიდან ორ ვერსზე ჩრდილოეთით; ქუთაისიდან 15 ვერსზე. სოფელი გაყოფილია ორად. ერთი ნაწილი იწოდება ზემოთ-ოფშკვითად და მეორე ქვემოთ-ოფშკვითად. საერთოდ მცხოვრებთა რიცხვი ორი-ათასს აღემატება და ამოდენა სოფელში არსებობს მხოლოდ ერთი ორ კლასიანი სასწავლებელი ზემოთ-ოფშკვითში, რომელიც ორივე სოფლის მცხოვრებთა სწავლის სურვილს ვერ აკმაყოფილებს. საჭიროა ერთი სასწავლებელიც ქვემოთ-ოფშკვითში გაიხსნას ღვთის-მშობლის ეკლესიასთან.

გულმოდგინენი რომ იყვნენ, ამ სოფელში ბევრი რამე საკეთილო საქმე გაკეთდებოდა. თუმცა ამ სოფელსა ჰყავს ორი ახალგაზრდა ნასწავლი მღვდელი, მასწავლებლები ზემო-ხსენებულ სასწავლებლისა და ცოტაოდენი ინტელიგენცია, მაგრამ ეტყობა, მაგრე რიგად თავს არ იცხელებენ ხალხის საკეთილდღეოდ. ამათი უმოქმედობის მიზეზი უნდა იყოს რომ აქამდის აქ არ არსებობს არც სამკითხველო და არც სხვა რამე კულტურული დაწესებულება.

ამ რამდენიმე წლის წინად აქ დაარსდა სასოფლო ბანკი, მაგრამ დღემდე არც ერთი ჟურნალ-გაზეთში არ იბეჭდება მისი მოქმედების ანგარიში და და უმრავლესობისათვის საიდუმლოებას შეადგენს. სასურველია რომ ყოველწლიურად იბეჭდებოდეს ქართულ გაზეთებში ანგარიში.

ძალიან ცუდ მდგომარეობაშია აქაური სასოფლო გზები. ცოტა წვიმა მოვა თუ არა, ისეთი ტალახი დგება, რომ გავლა შეუძლებელია. მეტადრე ძალიან

ლით და არც სანაყოფე—ან და ეუ აქვს, სულ განუვითარებელი და სე დამახინჯებული, რომ აღარ შეძლიათ თავიანთ ფუნქციების აღსრულება. მრჩობლი ფოთოლი უჩნდება მცენარეს მაშინ, როდესაც მას ადანერგავენ ნოყიერ და მსუქან ადგზე ე. ი. მაშინ, როდესაც ის უხვად საზრდოობს და არაფერზე აღარ ფიქრობს—როდესაც ის იზრდება ღვთის ანაბარად და მაზედ რავინ არ ფიქრობს მაშინ მას პალეც აქვს და სანაყოფეც. მაშ რა მიზეზი ყოფილა ამ ორგანოთა დაკარგვისა ან დაძაბუნებისა? ის, რომ როდესაც მცენარე იზრდება თავისუფლად და თვითონ ზრუნავს თავის საკვებზე, მისთვის საჭიროა მოდგმის შენახვაც და გამრავლება, როდესაც მას მზა მზარეულად აწვდიან სასმელ-საჭმელს, მას უსრულდება ტანი, სინოყივრე უნდება ებულების გალამაზებას, გასამრავლებელ ორგანოებს არაფერი აღარ ხება და ისინიც ამის გამო იძლუნებიან, სუსტდებიან და მიილევიან. ორგანიზმი ისეა მოწყობილი, რომ ს ულონიერდება მხოლოდ ის რგანო, რომელიც საჭიროა მისვის და რომელიც კარგად ეკვებება—ის ორგანო, რომელიც არაა სთვის საჭირო, თან და თან ჰკარგავს თავის ფუნქციას და მიილევა. მაშასადამე, ამბობს დარვინი, როდესაც მცენარეს ვუცვლით ნიადაგს, ვაყენებთ არა ბუნებრივ პირობებში, უხვად ვაწვდით ყოველ გვარ საკვებს, ჩვენ ამით ვუკარგავთ ას გამრავლებითი ნიჭიერებასაც".

ამ რიგად ზემო მოყვანილიდან ჩვენ შეგვიძლიან შემდეგი დასკვნა ვიღოთ: **ცხოვრების ჩვეულებივ პირობათა შეცვლა ორგანიზმებს ან სრულიად უსპობს გამრავლებითი ნიჭიერებას, ანდა შესამჩნევად უსუსტებს და უჩლუნგებს.**

ესაა პირველი კანონი ორგანიზმთა გამრავლების შესახებ. სწავლულნი ბევრსა ფიქრობენ ამ კანონზე და ამისათვის ცოტათი ჩვენც შევჩერდეთ ამაზე.

როგორც ვიცით, ცხოველები და მცენარეები სხვა და სხვა ტანისა არიან, ზოგი დიდია, ზოგი პატარა—ყველასათვის ცხადია, რომ ეს სიდიდე და სიპატარავე დამყარებულია გარეგნულ პირობათა გავლენაზე. მაგრამ ამასთანავე საჭიროა ვიცოდეთ: აქვთ თუ არა რაიმე კავშირი ორგანიზმთა სიდიდეს ან სიპატარავეს მათ ნაყოფიერებასთან ანუ აქვთ თუ არა რაიმე გავლენა გარეგნულ პირობებს მათ სქესურ მოქმედებაზე? უეჭველია, უნდა ჰქონდეს და აი ამის მაგალითებიც. დავიწყოთ პაწაწა ერთ უჯრედიან ორგანიზმებიდგან. წინა წერილებში ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი ნოქტიულიკებზე. ნოქტიულიკები პაწაწა, მარტივი აგებულების ცხოველები არიან, სცხოვრობენ ინდოეთის ოკეანეში, ცნობილი არიან იმით, რომ საღამოობით სანთელსავით ანათებენ ზღვის ზეწაპირს. ისინი მრავლდებიან გაყოფით იმის მიუხედავად, რომ სულ პაწაწა ტანისა არიან, საშინელი სისწრაფით მრავლდებიან. იაპონელ პროფ. იშიკავას გამოკვლევით ერთი ნოქტიულიკა ისე მძლავრად მრავლდება, რომ ერთ ღამეს შეუძლიან ზღვის ზეწაპირი დაჰფაროს ერთი ვერსის მანძილზე.

ამ ნაირივე სისწრაფით მრავლდება თოვლის პირველ ბუშტა (перво пузыгрнихъ). პირველ ბუშტაც სულ პაწაწა ცხოველია, ის ბევრად წააგავს ამიობას. ჩრდილოეთ ქვეყნებში შუა ზამთრისას დილ დილაობით ხანდახან შეგიძლიათ შენიშნოთ, რომ მთელი არე მარე შელებილთა წითლად—როგორც ბუნების მეტყველებს გამოუმკვლევიათ ეს თოვლის ზეწაპირის სიწითლე პირველ-ბუშტას მოქმედების შედეგი ყოფილა. საზოგადოდ, პირველ ბუშტა ჰაერში მცხოვრებია, ჰაერის მოძრაობას ის ხან აქეთ გადაქვს და ხან იქით, ამის გამო ის აქ მაინც და მაინც ვერ ახერხებს გამრავლებას. მაგრამ დაეცემა თუ არა თოვლზე. თავისუფლად გრძნობს თავის თავს და საშინლადაც მრავლდება. ერთ ღამეს ერთ პირველ ბუშტას ადვილად შეუძლიან დაჰფაროს 5—6 ვერსის მანძილი.

ვის არ შეუმჩნევია ჩვენში ზაფხულობით რა სისწრაფით ივსება ზოგიერთი ტბებით ყოველგვარ ბალახ-ბულახებით? ეს ბალახ-ბულახები, როგორც ბოტანიკოსები გვიმტკიცებენ, წარმოადგენენ სულ პაწაწა ერთ უჯრედიან ორგანიზმებს—წყალ-ბალახს, ხშირი მოვლენაა, რომ ეს წყალ-ბალახი 2—3 ღამის განმავლობაში სულ ერთიანად ჰფარავს უზარმაზარ ტბას. აგრეთვე სისწრაფით მრავლდებიან ინფუზორიები და ბოლოგოურად დაბლა მდგომი ცხოველებიც. ერთი ინფუზორია, ნეველის გამოანგარიშებით, ერთი თვის განმავლობაში აჩენს 250 მილიონს ინფუზორიას, ერთი ბაქტერია ერთი საათის განმავლობაში რამოდენიმე ბილიონს ბაქტერიას.

პაწაწა არიან ერთ უჯრედიანი ორგანიზმები, მარტივი აგებულების, მაგრამ მაინც ასე სისწრაფით მრავლდებიან. ეხლა ვნახოთ, როგორ მრავლდებიან ამათზე უფრო რთული—ბევრ უჯრედიანი ორგანიზმები. საზოგადოდ, როგორც შენიშნულია, ორგანიზმი რაც უფრო მაღლა სდგას ზოოლოგიურ საფეხურზე, მით უფრო ნაკლებ მრავლდება. სხვა რომ არა ავიღოთ მაგ. ძუძუმწოვარნი—სპილოს მხოლოდ მე-30 წელზე უჩნდება შვილი, თაგვი კი მეორე წლიდან იწყებს შვილოსნობას, სპილო შობავს მხოლოდ ერთ შვილს, თაგვი კი 10—12, არწივი ყოველწლიურად სდებს ერის ან ორს კვერცხს, ქათამი კი 50—60. სხვა კლასის ცხოველები რომ ავიღოთ, რასაკვირველია, განსხვავება უფრო დიდი იქნება მაშინ, როდესაც სპილოს უჩნდება ერთი შვილი, რომელიმე ჰია ლუას ამ დროსვე ათი ათასობით ჰყავს თავის ნაშობი შთამომავლობა—ყველა აქედან აშკარად სჩანს, რომ ორგანიზმის სიდიდეს და გამრავლებას დიდი დამოკიდებულება აქვთ ერთი მეორესთან — **როდესაც სიდიდე მატულობს, გამრავლება კლებულობს და პირიქით, როდესაც სიდიდე კლებულობს, გამრავლება მატულობს.**

ამასთანავე ზრდასაც და გამრავლებასაც დიდი დამოკიდებულება აქვთ ერთი მეორესთან. ვის არ შეუნიშნავს, რომ ვარია უფრო პატარა კვერცხებს სდებს, ვიდრე ძველი დედალი ქათამი? აგრეთვე ახალგაზდა ნეზვი პურვაკი უფრო პატარა გოჭებს ჰყრის, ვიდრე მოზრდილი, ჰაკი კვიცი უფრო პატარა ტანის კვიცს შობავს, ვიდრე დასრულებული, მოზრდილი ცხენი. ვარია ქათამი მისთვის სდებს პატარა კვერცხებს, რომ მისი სხეულის ზრდა არაა ჯერ კიდევ დამთავრებული, იმ საკვებს, რომელიც უნდა მოეხმარა მას თავის ზრდისათვის, ახმარებს კვერცხების გაჩენას და ზრდას, ამასვე სჩადიან ღორი, ცხენი და ყველა სხვა ის ცხოველები, რომლებიც ამ გვარივე პირობებში იზრდებიან, მაშასადამე, **ორგანიზმი რაც რომ უფრო დამთავრებულია ზრდით, მით უფრო სრულ ტანიან შთამომავლობას შობავს და რაც უფრო ახალგაზრდაა და დაუმთავრებელი, მით უფრო პატარა ტანისას.**

აგრეთვე განვითარებასაც დიდი გავლენა აქვს ორგანიზმის გამრავლებაზე. როგორც ვიცით, ზრდას და განვითარებას დიდი კავშირი აქვს ერთი მეორესთან. როდესაც ორგანიზმი იზრდება, ის თანაც ვითარდება (ბიოლოგიურად). მაშასადამე როგორც ზრდას დიდი დამოკიდებულება აქვს გამრავლებასთან, ისე განვითარებასაც დიდი კავშირი აქვს ამ გამრავლებასთან. აი ამის მაგალითებიც. ავიღოთ ხორბალი და მუხა. მუხა, რასაკვირველია, უფრო რთული აგებულებისაა, ვიდრე ხორბალი, ხორბალი პირველ წელსვე ჯეჯილდება და იძლევა ნაყოფს. მუხას კი ეს არ შეუძლია. სანამ ის დაყვავილდებოდეს და გამოიღებდეს რკოს, რამოდენიმე წელიწადია მისთვის საჭირო. რაა ამის მიზეზი? ის რომ ხორბალი პირველ წელსვე ასწრობს დასრულებას, მუხას კი ეს არ ძალუძს—როგორც რთულ ორგანიზმს, მას რამოდენიმე წელი სჭირდება ამ დასრულებისათვის- პირველ წელს მუხა მხოლოდ თავს იჩენს დედამიწაზე, მერმე თანდა-თან იზრდება და როდესაც დამთავრდება, მხოლოდ მაშინ იწყებს გამრავლებას, როდესაც ის სრულიად განვითარდება და დასრულდება.

მაგრამ ყველა ამასთან დიდი გავლენა აქვს გამრავლებაზე სმა-ჭამასაც. უჭმელად და უსმელად არ შეუძლიან სიცოცხლე არც ერთ ორგანიზმს, მაშასადამე, არ შეუძლიან გამრავლებაც. ყოველივე ორგანიზმი მუდამ იმის ცდაშია, სავსებით დაიკმაყოფილოს თავის თავი სასმელ-საჭმელით. ამისათვის ის მუდამ ზრუნავს, მიდის-მოდის, მოგზაურობს, იბრძვის და დიდი წვალებით და ვაი-ვაგლახით აღწევს თავის მიზანს. საზოგადოდ, ის ორგანიზმი, რომელიც კარგ პირობებშია, კარგად სვამს და სჭამს, კარგადაც გრძნობს თავის თავს, ღონეზეა და თავ-თავის დროზედაც ნაყოფიერდება და მრავლდება, რომელიც ცუდ პირობებშია და უჭირს ლუკმა პური, სუსტდება და ნელნელა ელევა გამრავლების ნიჭიერება. ავიღოთ ხრიოკიან ადგილს ამოსული მცენარე და გადავრგოთ ნოყიერ ადგილს. ხრიოკიან ადგილს მცენარე ვერასა ხდება, თანდათან სუსტდება და კვდება, ნოყიერ ადგილს კი მძლავრად იფურჩქნება, იზრდება და იღებს მშვენიერ ნაყოფს. შევადაროთ შინაურ და გარეულ ფრინველთა ნაყოფიერება—შინაური ფრინველები კარგ პირობებში არიან, იმათ ასმევენ, აჭმევენ და უვლიან—ამის გამო ისინი კარგადაც მრავლდებიან, გარეული ფრინველები ხშირად ღვთის ანაბარად არიან მიტოვებული, იმათზე არა ვინ არ ფიქრობს და ამისათვის ნაკლებადაც მრავლდებიან. შინაური ქათამი წელიწადში სდებს 50—60 კვერცხს და სჩეკს ამოდე-

გაფუჭებულია სადგურ მუხიანში წასას-ვლელი გზა. ეს გზა აუცილებელ სა-ჭიროებას შეადგენს როგორც ოფშკვი-თისათვის, ისე მოსაზღვრე სოფელ სა-ყულიისათვის. მუდამ დღე საქმე აქვსთ მუხიანში. მიდი მოდიან ურმებით, ცხე-ნებით და ფეხით. უზიდებიან სხვა და სხვა ნაწარმოებს გასასყიდად ან ბა-თუმსა და ტფილისში ვაგზავნით გა-საგზავნად. გზების შესაკეთებლად არავინ ზრუნავს. ეს გზა ადვილად შე-კეთდებოდა ვინმე რომ იყვეს მოთავე და ხალხს ურჩიოს.

ადვილად შეუძლია, რომ ითავებდეს საყულიის საზოგადოების მამასახლისი და ჩააგონებდეს ხალხს ამ გზის მნი-შვნელობას. ხალხს ბევრი ჩიჩინი არც კი დასჭირდება და ადვილად შეაკეთებს ამ გზას.

ქვემო-ოფშკვითში 8 ენკენისთვეს დღესასწაულობენ ღვთის-მშობლობას. ამ დღესასწაულს დიდ-ძალი ხალხი ეტა-ნება. მოდიან ყველა კუთხიდან. ვისაც ჰყავს სოფელში ნათესავი, ნაცნობი, ან ნაცნობის ნაცნობი, მოდიან სტუმრად და სამ ოთხ დღეს რჩებიან მასპინძელ-თან. დიდი ხარჯი მოსდით გულუხვ მასპინძლებს. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამ დღეობაში ზოგი სტუმრებზე 100-150 მანეთს ხარჯავს და ამავე დროს იმაზე კი არა ფიქრობს, რომ ამ ფულით შეიძლებოდა შვილის სკო-ლის ფული გადაეხადა. რამდენი მას-პინძლის შვილი გაუბედურებულა სკო-ლის ფულის შეუტანლობისა გამო.

ვიცი რამდენიმე შემთხვევა, რომ ზოგმა მშობლებმა, რომელთა შვილე-ბიც ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში სწავლობდნენ, შარშან და შარშან წინ სწავლის ფულის გადიდების გამო სა-მიდან-ხუთი თუმნის (30—50 მან.) შეტანა ვერ მოახერხეს და იძულებული გახდნენ თავიანთი შვილები სასწავლე-ბლიდან გამოეყვანათ... იგივე მშობ-ლები კი იმავე დროს 100—150 მან. ვიდაც მუქთახორა სტუმრებს მუცელში აყრიან და თავიანთ შვილებს კი აუბე-დურებენ. დიდი დანაშაულობაა, რომ მამას შვილის მომავალი ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, რომ ეს ქონებიდან დამ-ცრავი ხვეულება გადააგდონ. რომ ვინ-მე დამრიგებელი იყვეს, ხალხი მალე შეიგნებდა და [illegible] ყური აიღებდა.

ვ. ლ—შვილი.

—

**ქ. თელავი.** თელავში საკმარისად მოიპოვებიან საქველ-მოქმედო და სხვა საზოგადოებანი, მაგრამ მიზანს ძლიერ ნაკლებად აღწევენ; ეს ხდება უსახსრო-ბის თუ სხვა მიზეზის გამო. ბევრი მოწაფე, რომელთა მფარველობა ეკი-სრია საქველმოქმედო საზოგადო-ებას, იძულებულია მიატოვოს სკო-ლა სწავლის ფულის შეუტანლო-ბისათვის. ასეთ საზოგადოების ზამ-თარში მუშაობა შეუძლებელია, მა-შინ ვერც გასართობი საღამოები გაი-მართება ხშირად. ამ რიგად სიღარი-ბის გამო ბევრი მოსწავლე რჩება გა-რეთ. რაც შეეხება სასულიერო სასწა-ვლებელს, აქ ერის კაცთა შვილებს არა-ვისგან არავითარი დახმარება არ ეძლე-ვათ, რადგანაც მასთან ისეთი საზო-გადოება არ არსებობს, როგორც სხვა სასწავლებელთან. თუმცა ამ ზამთარს პირადად გადმომცეს, რომ საზოგადო-ება უნდა შევადგინოთო ეს უბრალო სიტყვის მასალად იხმარეს. დადგა ზა-ფხული და თელავში წარმოდგენების სეზონი დადგა. სასურველია საქველ მოქმედო მიზნით გაიმართოს ხოლმე წარმოდგენები. მით უფრო, რომ სა-ქველ მოქმედო საზოგადოებანი უსაღ-სრობისა გამო ვერ ეხმარებიან ღარიბ მოწაფეებს. წინა წლებში იყო ხოლმე შემთხვევა, რომ წარმოდგენებს რომე-ლიმე კერძო პირის, სტუდენტის ან საზოგადო მოწაფის სასარგებლოდ მა-რთავდენ ხოლმე. ვინ იცის შეიძლება ბევრი ღირსიც იყოს დახმარებას, მაგ-რამ ფაქტია, რომ ბევრი ქეიფსა და კარტში ხარჯავს ამ ფულს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მაისპოს კერძო პირთა სასარგებლოდ წარმოდგენების მართვა.

სწორედ ზაფხულობით უნდა იმარ-თებოდეს ხოლმე წარმოდგენები საქველ-მოქმედო საზოგადოებათა სასარგებ-ლოდ. საჭიროა მათმა გამგეობებმა შე-ითვისონ ეს აზრი წარმოდგენების შე-მოსავლით და მიზნის მისაღწევად იზ-რუნონ სადსრის გაძლიერებაზე.

დავიწყებული-

—

**სოფ. კაკაბეთი.** (სიღნაღის მაზ-რა) [illegible], სიმინდის, ხუ-რის, ღვინის და სხვა ჭირნახულის მოსავალს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ მაისის ბოლოში გამუდმებულმა წვიმა-ნიადვრებმა და ბოლოს სიცხეებმა ძა-ლიან დააზარალა ყველა ნათესი და, ვინც ასი მანეთის ნამუშავარს გაჰყიდ-და, ის წელს ოცი მანეთისას ვედარ გაჰყიდის. გლეხები ძალიან დაადონა ამ გარემოებამ. აპრაშუმის მოსავალი ჩვენსკენ კარგი იყო, ვისაც კი ჰქონ-და, ფუთი ნედლი პარკი 16—18 მა-ნეთად გაიყიდა. პური ჩ ეხმა ეხლა ფასობს 90 კ., ფუთი, ქერი კი—60 კაპ. და რასაკვირველია ზამთარში უფ-რო აიწევს.

აქეთ ძლიერ ავადმყოფობა გაჩნდა. მეტადრე ბავშვებისა. მაგრამ საშველი კი არსაიდან არის. ექიმი შორსაა და ჩვენ გლეხ-კაცს კი იმდენი სადსარი ვინ მისცა რომ 40 ვერსის ფეხის ქი-რა მისცეს ექიმს; რის გამო ბევრი დაუხმარებლად და უდროოდ ესალმება წუთი სოფელს. მართალია ჩვენ სო-ფელში ბ ნ ნარსიას აქვს აფთიაქი და ფერშალიც ჰყავდა ბ-ნი ი. მ—შვილი. მაგრამ იმის რეცეპტებზე დიდი ფასის გადებაც არასა შველოდა ავადმყოფთ. ხალხი ისე დაშინდა, რომ ფერშალს ავადმყოფის ჩვენების შემდეგ შრომის ფასსს არ აძლევდა. მიდიოდა აფთიაქ-ში, იგებდა რეცეპტის ფასს და თუ, 1 მან. აღემატებოდა, სოფ. საგარე-ჯოში მიჰყვანდა ავადმყოფი საექიმოდ. ბ-ნი ი. მ—შვილი ამ თვეს სოფლი-ელმა ისეთ დღეში ჩააგდო, რომ ერ-თი ფეხით გასწრო შიშმილით სიკვ-დილს სოფ. კაკაბეთიდან. მას შემდეგ კი ბ-ნი ნარსია ექიმობს კიდეც და პროვიზორობს.

სოფ. კაკაბეთი ყველა სასარგებლო გასართობებს მოკლებულია, არ იმართე-ბა წარმოდგენები, მხოლოდ ამის მაგიერ აქაური „ნასწავლი“ მოდის ქალები სადამოობით ხშირად შეიკრიბებიან ხოლმე და მღერიან ერთსა და იმავეს: Трехъ я любила, двухъ разлюбила, одного забыть не могу“. მოწინავე ვაჟები კიდევ შეიკრიბებიან ხოლმე აფთიაქის გამოსავალ კარებში, მეაფ-თიაქე კი გამოიტანს ხოლმე მაგიდას გაშლის და ბანქოს და ქაღალდის თა-მაშით ატარებენ დროს, შიგ შუა გზა-ზე.

ამ ზაფხულზე გვეწვია ორი მაწის მზომელი, რის გამო სოფელს ეყოდ თვიურად 150 მან. ხარჯი მიემატა. არ ვიცი, ღმერთმანი, ეს სამი წელი-წადია ძალზე ზომავენ ამ ჩვენ მამულს და რით ვერ გაზომეს?!.

ხოლერის ნიშნები კაკაბეთშიაც აღ-მოჩნდა, მაგრამ აქაური იატონები ყურს არ იბერტყავენ. კაკაბეთს ერთად-ერთი სასმელი წყალი აქვს და ისიც უსუფთაოდაა.

სოფ. ჩაილურში ერთი ოჯახი მთლად ამოსწყდა ხოლერისაგან.

კარგი იქნებოდა ქ. შ. წერა კითხვის საზოგადოების თაოსნობით სოფ. კაკა-ბეთში გახსნილიყო ბიბლიოთეკა. წინად თუ ამ საზოგადოების წევრები უგზო-ბას ერიდებოდნენ, ეხლა თვით კაკაბე-თიდან ქალაქამდის კერძო დილიჟანი დადის და ფასი მხოლოდ 1 მ. 50 კ.

აგრეთვე არ იქნებოდა ურიგო, რომ კაკაბელებს ეთავნათ და ერთი საფოს-ტო კანტორა გაეხსნათ. თვით კაკაბე-თი 600 კომლიდან შესდგება. და რა გაუჭირდება. მით უმეტეს, კაკაბეთს სოფ. ჩაილური, ყანდაური და ჭერე-მიც მიუდგებოდა თორემ უფოსტობა დიდ უხერხულობას შეადგენს.

ტეტიას შვილის-შვილი.

—

**დაბა ონი.** ზაფხულობით დაბა უფრო სხვა ელფერს მიიღებს ხოლმე, ვიდრე სხვა დროს. მოსწავლე ახალგა-ზრდობა უბრუნდება თავიანთ მშობელ მხარეს და რადგანაც ამათი სიტყვით, პატარა სოფლებში სადაც ისინი აღზრდილ- დაბადებულან მოწყენილებაა, ჩამოდიან ონში, რომ ზაფხულის თვე-ები გაატარონ უფრო ცოცხლათ. კვი-რაში ორჯელ საკრებულო დარბაზში იმართება საოჯახო საღამოები. შემთ-ხვევით დავესწარ ერთ ამ საღამოს. ერთის მხრით შეუჩვეველ ადამიანში იწვევს სიცილს, მეორეს მხრით კი—სიბრალულს, როდესაც ჰხედავს, როგორ იხარჯება ტყუილ უბრალოთ ძვირფასი დრო. სდგას გრამაფონი, კურავს რო-მელიმე სათამაშოს და თამაშობენ. აგერ გაათავა გრამაფონმა დაკვრა, ისინიც შეჩერდნენ და უცდიან როდის დაიწყობს გრამაფონი დაკვრას ასე და ამ გვარად სწარმოებს ონელების საყვარელი „ტა-ნცობა“ ერთ სტუდენტს შეედგინა სამებიანი ორკესტრი და ისინიც თავი-ანთ დაკვრით „ატკბობდნენ“ მსმენე-ლების ყურს. რამდენი ენერგია დასჭი-რდა ამ სტუდენტს ამ ორკესტრის მოწყობაში!

ამას წინად გამართეს რუსულ-ქარ-თული წარმოდგენა ნუ თუ იმდენი ძალა არ შესწევდათ რომ საქართველოს ასეთი მიყრუებული ადგილას წარმოდ-გენები არ აჭრელებინათ.

11 ამ თვეს აფთიაქის ქვემოთ უც-აბედათ ცეცხლი გაუჩნდა სამზარეულოს. შეიქმნა ზარების რეკვა და დიდი ალია-ქოთი. გამოიტანეს ერთი ცეცხლის მქრობელი მანქანა. სანამ იმას მომარ-თამდნენ, სანამ შინაურულ ზომებით ჩააქრეს. უმჯობესი იქნება ეს მანქანა ჯერ გააკეთონ და მერე ისე გამოიტა-ნონ ცეცხლის ჩასაქრობად. რაკი აფთი-აქი მოვიხსენიე არშეიძლება არშევე-ხო იმ უზომო სიძვირეს, რომელიც არსებობს აფთიაქში. განა არსად არ მოიპოვება პროვინციაში აფთიაქი? მა-გრამ ამნაირი უოგლად წარმოუდგე-ნელია.

ხოლერის მოლოდინში ხალხი ძალი-ან შეშინებულია. 26 ვერსზე დაბა ონიდგან, სახელდობრ სოფ. გლოლაში გაჩნდა ხოლერა, სადაც გვერდზე ხომ დიდი ხანია მძვინვარებს და იმედია მალე მთელ რაჭას მოედება. ამას ხელს უწყობს ერთის მხრით სოფლე-ბის სიბინძურე და მეორეს მხრით-საშოვარზე გასულ რაჭველების უკანვე დაბრუნება. სანიტარულ მხრივ თვით დაბაც უნუგეშო მდგომარეობაში იმყო-ფება. სამაზრო სამმართველო გადაკე-თეს და იქიდგან გამოტანილი ნაგავი სამმართველოს წინვე დაჰყარეს, უფრო ცუდ მდგომარეობაში არის ჩაყენებული ებრაელების უბანი. თუ მალე არ მიი-ღეს ზომები დაუპატიჟებელი სტუმარი ადვილად თუ ხვალ შემოეჭყოფს თავს და მისი განდევნა ძნელი იქნება

მოაგარაკე.

## რუსეთი

✦ **ხოლერა.** რუსეთის გამუდმებულმა ხოლერამ მთავრობა ძალიან შეაფიქრიანა. ამ დღეებში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პ. ა. სტოლიპინთან მოხდება სხდომა ხოლერასთან ბრძოლის განსაკუთრებული კომიტეტისა, რადგანაც მიჩნეულია, რომ ეს ჭირი უფრო გამძვინვარდა სოფლებში გადასვლით. დონეცის მადნიდგან 10000-მდე მუშა გაიქცა ხოლერის შიშით. იქ გაიგზავნა პროფესორი რეინი ხოლერასთან საბრძოლველად, რადგანაც უამისოდ დონეცის მრეწველობა ძალიან დაეცემა.

საინტერესო ციფრებს იძლევა ხოლერის სვლა ამ სამს წელს რუსეთში: 1908 წ., მთელს რუსეთში ხოლერით გარდაიცვალა ჩვიდმეტი ათასი კაცი, 1909 წელს — ოცდა რვა ათასი, ხოლო 1910 წლის პირველ ნახევარში ორმოცდა ჩვიდმეტი ათასი კაცი.

✦ **ათაშანგის წინააღმდეგი საშუალება პროფ. ერლიხისა.** პროფ. ერლიხის პრეპარატით ათაშანგის მორჩენა დაიწყეს პეტერბურგის კალინკინის საავადმყოფოშიც. მაგრამ ამ პრეპარატს ცუდი გავლენა ჰქონია ავადმყოფებზედ: თვალების ნერვებსა და საშარდე ბურთსა ვნებს თურმე შეეკითხნენ ამის შესახებ პროფ. ერლიხს, რომელმაც მოსწერა, რომ იმან ახმარა თავისი წამალი 200 ავადმყოფს, მაგრამ ეგ მავნებლობა არ შეუმჩნევია, და რომ ეგ ალბად გამოწვეულია ან წამლის ხმარების უცოდინარობით ან მის წახდენით.

## სპორტი

29 ივლისის ქართულ საზაფხულო თეატრში ფრანგული ჭიდაობის ჩემპიონატის მე-12 დღეს იჭიდავეს: 1) ვან-როტენმა და ნაჯიმ; ჭიდაობა მთელი საათი გაგრძელდა უშედეგოდ, 2) პეტერსონმა და მატიუშენკომ. (უკანასკნელი 2 წუთში წაიქცა) 3) ვალტერმა და მახოვმა. (ვალტერი წაიქცა) 4) შავმია ნიღაბმა და რეიბერმა. (უკანასკნელი წაიქცა). პირველსა და უკანასკნელი წყვილის ჭიდაობა საინტერესო სანახავი იყო. მაღალი მახოვის (1 საჟ. და 4 ვერ). და დაბალი ვალტერის ($1^1/_2$ არშ) ჭიდაობამ დამსწრე საზოგადოება ბევრი აცინა.

---

ნივე წიწილას, კაკაბი (გარეული ქათამია) კი სდებს 20—25 კვერცხს, შინაური ბატი სდებს 12 — 15 კვერცხს, გარეული 5—6, ძაღლი ყრის 6—14 ლეკვს, მგელი (გარეული ძაღლია) 4—5, შინაური კატა ჰყრის 15-მდე ცინდალს, გარეული 5—6, შინაური ღორი ჰყრის 10—12 გოჭს, გარეული 5—6.

რას გვეუბნებიან ეს მაგალითები? ერთი იმას, რომ შინაური ცხოველები უფრო კარგ პირობებში სცხოვრობენ, ვიდრე გარეული და მეორე იმას, რომ კარგ მოვლას, პატრონობას დიდი მნიშვნელობა აქვს გამრავლებაზე. მაგრამ ყოველივე ამასთან გამრავლებაზე, დიდი გავლენა აქვს ორგანიზმის ხარჯსაც. როგორც აღნიშნული იყო ზემოდ, ორგანიზმი თავის არსებობისათვის საჭიროებს სმას, ჭამას, სითბოს და სხვ. ის პოულობს ყველა ამათ, მაგრამ დიდი ვაი-ვაგლახით—ის მუდამ მუშაობაშია და ამ მუშაობის დროს რასაკვირველია, ხარჯავს თავის ცხოვრებითი ძალას. დანახარჯს ორგანიზმს ინაზღაურებს, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ხშირად დანახარჯი აღემატება შემოსავალს— როგორც დაკვირვებანი გვიჩვენებენ **ორგანიზმი მით უფრო ნაკლებ მრავლდება, რაც რომ უფრო მეტს მუშაობს და იხარჯება და პირიქით უფრო მეტად მრავლდება, რაც რომ ნაკლებს მუშაობს და იხარჯება.**

აი, ამის მაგალითებიც. ადამიანს ნაწლევში უჩნდება ერთგვარი ჭია, რომელსაც სახელად უწოდებენ ასკარისი. (Ascaris Lumbricoides) იქ ის მშვენივრად გრძნობს თავის თავს. არასფერზე არ ფიქრობს, ყოველგვარი სასმელ-საჭმელი მზა-მზარეულად მოსდის, თავისუფლად წევს, სვამს და სჭამს, ამის ვამო ის საშინლადაც მრავლდება—ერთ ასკარისს შეგიძლიანთ უნახოთ 64 მილიონი კვერცხი.

ფუტკრის კვერცხიდან გამოდიან ან უნაყოფო მუშა ფუტკარი, ან ნაყოფიერი დედა ფუტკარი. გამოჩეკის დროს ყოველივე იმაზეა დამყარებული, თუ როგორი საზრდო აქვს ახლად გამოჩეკილ მატლს. თუ საზრდო ნოყიერი და საკმაო იქნება, მაშინ მატლი იქცევა დედა-ფუტკრად, თუ არა და მუშა ფუტკრად. მაშასადამე სმა ჭამას დიდი გავლენა ჰქონია სქესის გაჩენაზედაც. დედა ფუტკარი არასოდეს არასფერს არ აკეთებს, ის მხოლოდ სვამს-სჭამს და ჰყრის კვერცხებს, მუშა ფუტკარი კი მუდამ მუშაობაშია და ის სცდილობს, როგორმე გაამლოს და დააკმაყოფილოს დედა ფუტკარი.— იმას დროც არა აქვს იზრუნოს თავის თავზე—ესაა მიზეზი, რომ დედა ფუტკარი ნაყოფიერია და მუშა ფუტკარი უნაყოფოა.—

ყოველივე ზემო მოყვანილიდან ჩვენ შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გამოვიყვანოთ:

1. სხვათა შორის გამრავლება დამყარებულია სმა ჭამაზე-

2. სხვათა შორის ზრდასა და გამრავლებას შუა დიდი დამოკიდებულებაა. ორგანიზმი რაც უფრო იზრდება მით უფრო ნაკლებ მრავლდება, რაც უფრო დიდია მით უფრო ნაკლებ ნაყოფიერდება.

3. სხვათა შორის დიდი დამოკიდებულებაა განვითარებასა და გამრავლებას შუაც. ორგანიზმი რაც უფრო რთულია, მით უფრო ნაკლებ მრავლდება.

4. სხვათა შორის დიდი დამოკიდებულებაა ხარჯს და გამრავლებას შუაც. ორგანიზმი რაც მეტს მუშაობს, რაც მეტ ნაწილს იხარჯავს თავის ძალას, მით უფრო მეტად მრავლდება.

დ. ბ.

---


# განცხადებანი

## დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
უოველ დღე, კვირეებს გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგან და საბავშვო.
**ბ. გ. ავასაროვი:** $1^1/_2$—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** $9^1/_2$—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**საღამოთი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—$6^1/_2$ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. ვ. გევასკაია-ენგელი:** 6—$6^1/_2$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. ხამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

## მატარებლების მიმოსვლა
### 18 აპრილიდან 1910 წ.

საათები ნაჩვენებია ტფილისის მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

| | | |
|---|---|---|
| ბათუმისკენ: | N 1, ხწრ.—საღ. | 11 ს. 28 წ. |
| | N 3, საფ-ს.—დღ. | 1 ს. 24 წ. |
| | N 5, სამგზ.—საღ. | 7 ს. 31 წ. |
| ბაქოსკენ: | N 2, ხწრაფ.—დილ. | 8 ს. 15 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 10 ს. 4 წ. |
| | N 12, სამგზ.—დღ. | 2 ს. 38 წ. |
| ბორჯომისკენ: | სამგზ.—დილ. | 8 ს. 28 წ. |
| | სამგზავ.—დღ. | 3 ს. 36 წ. |
| ჯულფისკენ: | საფოსტო—ღამ. | 12 ს. 22 წ. |
| ერევნისკენ: | სამგზავრო—დღ. | 4 ს. 15 წ. |

**ტფილისში მოდის**

| | | |
|---|---|---|
| ბათუმიდან: | N 2, ხწრ.—დილ. | 7 ს. 25 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 9 ს. 4 წ. |
| | N 6, სამგზ.—დილ. | 11 ს. 4 წ. |
| ბაქოდან: | N 1, ხწრფ —საღამ. | 10 ს. 36 წ. |
| | N 3, საფოს.—დღ | 12 ს. 24 წ. |
| | N 1. სამგზ.—დილ. | 6 ს. 58 წ. |
| ბორჯომიდან: | სამგზ.—დილ. | 6 ს. 28 წ. |
| | სამგზ.—საღამ. | 8 ს. 08 წ. |
| ჯულფიდან: | საფოსტ.—დილ. | 6 ს. 8 წ. |
| ერევნიდან: | სამგზავ.—დღის. | 6 ს. 33 წ. |

ვ. ყიფიანის დრამა
## სამეგრელოს მთავარი ლევან
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.
**ფასი ორი აბაზი**
იყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

## კატალოგი
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიის № 3

I

სასულიერო შინაარსის წიგნები.

1. იოსელიანი გ. საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა, სურათებით, ტფ. 1909 წ. 40
2. მისივე ლოცვანი ტფ. 1910 წ. 20
3. ძველი აღთქმა, ხუთი წიგნი მოსესი ტფ. 1900 წ. . . . . 50
4. ფსალმუნი. ტფ. 1901 წ. . . 10
5. ახალი აღთქმა. სახარება. საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთანი. ტფ. 1879 წ. . 40
6. სახარება.

II

მოთხრობები, ლექსები, პიესები.

7. აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული. ტფ. 1908 წ. . . 40
8. ანდრეევი ლ. ადამიანის ცხოვრება. ტფ. 1907 წ. . . . 50
9. ბარათაშვილი ნ. ლექსები, „სორაპნის“ გამოცემა. ტფ. 1910 წ. 10
10. გვარამაძე ივ. თამრო ჭარამხანაშია. გურიის ცხოვრებიდან. ახალციხ. 1906 წ. . . . . . 20
11. გლახაშვილი ს. წყურვილი. დრამა 3 მოქ. 4 სურ. ტფ. 1910 წ. 30
12. გიგაური. ლექსები. ქუთ. 1908 წ. 20
13. გიოტე, ფაუსტი. დრამატ. პოემა. ნათ. პ. მირიანიშვილისა. ტფ. 1909 წ. . . . . 1 მ. 25
14. დუტუ-მეგრელი. წიგნი I ლექსები. ტფ. 1909 წ. . . . . 70
15. ერისთავი გ. გაყრა, 4 მოქ. კომედია. გამოც. „სორაპნისა“. . 5
16. ვაჟაფშაველა. ცრემლები. 1909 წ. 50
17. ზღაპრები II, ქალთა წრის გამოცემა. . . . . . 1 მ. 30
18. თუთაევი ალ. ქართული პიესები ტფ. 1909 წ. . . . . 20
19. იერეთელი პ. დამარცხებულნი. დრამა 5 მ. ტფ. 1908 წ. . . 30
20. მისივე ქრისტინე, დრ. 5 მოქმ. ტფ. 1909 წ. . . . . . 20
21. Избранныя стихотворенія А. Церетели, съ предисловіемъ А. Хаханова, Моск. 1908 г. . . . 2
22. მოლიერი. დრამატ. თხზულებანი. გამ. „სორაპნ-საა“. ტფ. 1909 წ. 5
23. ნიშადი. კრებული. ტფ. 1909 წ. 15
24. ნავთლუღელი შ. შრომის დროს ამონაკვნესი. ლექსები. ტფ. 1908 წ. . . . . . .
25. ნინოშვილი ე. პალიასტომის ტბა. ტფ. 1909 წ. . . . . . .
26. მისივე ჩვენი ქვეყნის რაინდი. ტფ. 1909 წ. . . . . . 20
27. მისივე გოგია უიშვილი. ტფ. 1909 წ. . . . . . .

◀ სამეურნეო ჟურნალი ▶
## მოსავალი
წელიწადი მეორე

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისთვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს რჩეულ მცენარეების საუკეთესო თესლის გაგზავნას **უფასოდ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.

### საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
## ჯეჯილი
ოცდა პირველი წელიწადი

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა პატარებისთვის და მოზრდილთათვის.

**ჟურნალი „ჯეჯილი“** ტფილისში ღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი 40 კაპ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ **ქუთაისში** წიგნის მაღაზიის **„იმერეთი“-ს** და ბათუმში **მ. კალანდაძეს.**

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „ДЖЕДЖИЛИ“
რედ.-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**
(5—5)

დაიბეჭდა და 1 სექტემბრიდან დაურიგდება ხელის მომწერლებს
## დუტუ მეგრელის ნაწერების მეორე წიგნი „მოთხრობები“
(მოთავსებულია 19 მოთხრობა).

ძველმა ხელის მომწერლებმა მანამდე უნდა აცნობონ ამ ადრესით: Тифлисъ, Типографія „Шрома“, В. К. Болквадзе: ა) თავისი ახალი ადრესი, თუ ადრესი შეცვლილია, ბ) წიგნების რაოდენობა და ვ) საიდან ჰქონდათ გამოწერილი წიგნები.

ვინც დანიშნულ დრომდის გამოგზავნის აგრეთვე დასახელებულ ადრესით ან პირადად მოიტანს ერთ მანეთს ძველ ხელის მომწერლებთან ერთად გაეგზავნება ორივე წიგნი: „ლექსები“ და „მოთხრობები“.

მიიღება ხელის მოწერა სამეცნიერო-პედაგოგიურს და სალიტერატურო
ჟურნალს
## „განათლება“-ზე
(წელიწადი მესამე)

ჟურნალი გამოდის წელიწადში ათჯერ. ექვსი ნომერი უკვე გამოვიდა და მიეგზავნა ხელის მომწერლებს. ამ ჟამად იბეჭდება სექტემბრის ნომერი, რომელიც გამოვა 1 ენკენისთვეს. ჟურნალი მოზრდილი ფორმატისაა, თითო ნომერი შეიცავს 5-6 ბეჭდურს თაბახს. წლიურად ღირს **სამი მანეთი** გაგზავნით, სოფლის მასწავლებლებისათვის **ორი მანეთი.** ჟურნალის დაკვეთა შეიძლება—„წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“—**ივანე ბავლაშვილთან,** „ნაკადულის“ რედაქციაში და კერძო აგენტებთან.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.
რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**